პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

КОММУНИСТ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 31-ე წელი

ოთხშაბათი, 6 სექტემბერი, 1950 წ. № 197 (8757). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

ნოვატორთა გამოცდილება—ყველა მუშას! — „პრავდის“ 5/IX მოწონავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

გამსხვავებულ კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციებს მეტი დახმარება უსახირობათა (მე-2 გვერდი).

მეტხეის ქვეს ციხესთან (მე-2 გვერდი).

ახალი ამოცანები (მე-2 გვერდი).

გაფვეხოროციელოთ საკავშირო პროფსაბჭოს IV კლენუმის გადაწყვეტილებანი (მე-3 გვერდი).

გ. აბაშიძე — მეგობრული გულისხმიერების დაცვის „ქაფლის ეპარ“ (მე-3 გვერდი).

მეშვიდეობის მოიხსენეთ სრულიად კოლოფნეთის კიბეზელი ყრილობის რეზოლუცია (მე-4 გვერდი).

მეშვიდეობის მოიხსენეთ მიტინგი ლენინგრადში (მე-4 გვერდი).

კოლეის ამბები (მე-4 გვერდი).

ნოვატორთა გამოცდილება—ყველა მუშას!

ჩვენი ქვეყანა აღსავსეა შემოქმედებითი ძრწოლა ბასოსრთ. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო დარაზმული სამშობლოს ხალხი თავდადებულად, აღფრთოვანებით აშენებს კომუნიზმის ნათელ შენობას.

მილიონობით საბჭოთა ადამიანი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის მინისტროთა საბჭოს დადგენილებებს მძინარე ეოლკაზეკის და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის შესახებ, ასევე ზოვასპირის რაიონების მორწყვისა და წყლით უზრუნველყოფის შესახებ. ამ მშენებლობათა გიგანტური მასშტაბებში ასახულია ჩვენი სტალინური ეპოქის სიდიადე, გადამქიზელი პროგრესულობისა და სოფლის მეურნეობის ახალი ძმაკაცი ადამიანების გრანდიოზული პერსპექტივა.

კომუნისტური მშენებლობის სტალინური გეგმები ჩვენს ხალხში იწვევენ ოცეანთან საბჭოთა სამშობლოსადმი კანონიერი სიამაყის გრძნობას და აღფრთოვანებენ მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის უფროფოს მასების სახელოვანი შრომითი გმირობისათვის, უფრო მეტად აძლიერებენ მილიონობით საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითს აქტიურობას.

ჩვენს მრეწველობაში განუწყვეტლივ იზრდება და ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება და სტახანოვური ძიძრაობა. წარმოების ყველა დარგში დღითიდღე იბადება ახალ-ახალი პატრიოტული წამოწყება, რომლებიც ანჭარებენ შრომის ნაყოფიერების ზრდას, აძლიერებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ტემპებს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ სოციალისტური შეჯიბრება სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდია მილიონანი მასების მაკსიმალური აქტიურობის საფუძველზე. შეჯიბრება შეადგენს სოციალისტური საზოგადოების განვითარების ერთერთ უმნიშვნელოვანეს კანონზომიერებას, იგი გამოხატავს მრავალმილიონიანი მასების სწრაფ შემოქმედებითს აღმავლობას, რომლებმაც ღრმად შეიგრნეს თავიანთი გადამწყვეტი როლი ისტორიის მეფილმლობში, ახალი სამყაროს მშენებლობაში.

როგორც ყოველივე ახალი, მოწინავე და პროგრესული, სოციალისტური შეჯიბრება გახეწყვეტლივ ვითარდება, წინ მიდის, გზას იკაფავს ძველთან, ლრმა ეძებულთან ბრძოლაში, იზრდება, ფართოვდება და ღრმავდება, მდიერდება უფრო და უფრო სრულყოფილი ფორმებით. **მასების შემოქმედებითი აქტივობის ახალ გამოხატულებას წარმოადგენს ის, რომ შრომის მოწინავე სტახანოვურ მეთოდებზე გადადიან ადამიანთა დიდი ჯგუფები, მთელი კოლექტივები, ბრიგადები, უბნები, საამქროები, საწარმოები.**

ბრიგადების უკარესად მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს ლიდია კოროპეტიოოვას და თეოდორე ტეზნეცოვის ინიციატიები დაწყებული მოძრაობა ნელოფულისა და მასალების კომპლექსური ეკონომიისათვის. კომპლექსური ეკონომია შეიძლება მიეწოდოს ერთს მხოლოდ საამქროსა და საწარმოს მთელი კოლექტივის კარგად ორგანიზებული, შეწყობილი მუშაობის პირობებში. ეს მაგალითიც. ლონმბასის მოწინავე მაღაროელი, სოციალისტური შრომის გმირი ივანე ბრიდკო გამოიყენა ციკლურობის გრაფიკის მიხედვით მახტების სანიმაშში მუშაობისათვის შეჯიბრების წამომწყებად. ამ წამოწყებას დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგობრიგადის მრეწველობისათვის, მისი წარმატება წინასწარ გულისხმობს იმას, რომ შრომის ყველაზე ნაყოფიერ მეთოდებზე გადაეიდეს არა ცალკეული მუშები, არამედ მახტის უკლებელი მთელი კოლექტივი.

დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის მოწინავე, ყველაზე პროგრესული და ნაყოფიერი მეთოდების ორგანიზაციის მეცნიერული განზოგადებისა და ამ მეთოდების ყველა მეშინსათვის სწავლების ინიციატორის ინჟინერ თეოდორე ეკიფანოვის შესანიშნავ თაოსნობის. ამ წამოწყებას ამეამად მოსკოვის, ლენინგრადის, ურალის, დონბასისა და სხვა ცენტრების საწარმოთა ბევრი კოლექტივები გამოეხმაურა.

სტახანოველთა საუკეთესო მიღწევების ღირსად შეიწავლა ხელს უწყობს იმას, რომ წარმოების ნოვატორთა მოწინავე გამოცდილება ყველა მუშის კუთვნილება გახდეს.

მოწინავე სტახანოველთა შრომის საუკეთესო მეთოდების შესწავლის მოწყობა და ნოვატორთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვა ფებრიკა „პროლეტარსკაია პობედაში“, ელექტროცისა და ტრეხგორნის კომბინატებში, ავრეთვე სხვა საწარმოებში უკვე ახლა ძალეკა დიდ ეკონომიურ შედეგებს. მაგალითად, კუპაინოს წმინდა მაუდის ფაბრიკაში წინათ მესწავლეთა და მრთველთა მნიშვნელოვანი ნაწილი გამმეშვაევების ნორმებს ვერ ასრულებდა. საუკეთესო სტახანოვური მეთოდების შესწავლის შემდეგ **ყველა მრთველი და მესწავლეი ნორმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს.** რთვაში შრომის ნაყოფიერება თითქმის ოცდათი პროცენტით გადიდდა, ხოლო მოწყობილობის წარმადობა ჩვეიმეტი პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად გაძლიერდა მუშათა მისწრაფება ტექნიკური განათლებისადმი. ფაბრიკაში შემუშავებულია მთელი კოლექტივის სწავლების პერსპექტიული გეგმა. უახლოესი სამი წლის განმავლობაში თვითეული მეშა მიიღებს შეიდწლიან განათლებას. ხოლო ოსტატის თანაშემწეები—საშუალო ტექნიკურ განათლებას.

მუშებისათვის შრომის საუკეთესო ხერხების სწავლების მეთოდი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული ძანქანათმშენებლობაში, მეტალურგიაში, მშენებლობაში, სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში. ჩვენს ქვეყანაში ყველგან აროან წარმოების მოწინავეები და ნოვატორები, მაშასადამე, ყველგან აროს ძალაწყოფიერი სტახანოველთა მუშაობის უმდიდრესი გამოცდილება.

საქმე მხოლოდ ის არის, რომ თვითეული წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით მოეკუწოთ მოწინავე გამოცდილების უნაერანი შესწავლა და განზოგადება და მისი მტკიცედ გავრცელება მუშათა მთელ მასაში. გასაგებია, რომ ამ ამოცანას ვერ შეასრულებთ ინეინერ-ტექნიკურ მუშაოთა ულარესად აქტიური მონაწილეობის გარეშე. **ინეინერთა და ტექნიკოსთა კადრები მოწოდებული არიან პირველხარისხოვანი, წამყვანი როლი შეასრულონ სტახანოველთა შრომის საუკეთესო პროგრესული მეთოდების შესწავლაზე და გავრცელებაში. სტახანოველი მუშაობის საუკეთესო მეთოდების შესწავლა, მეცნიერული განზოგადება და წარმოებაში დანერგვა მეცნიერთა და მშრომელთა შემდგომი შემოქმედებითი თანამშრომლობის მტკიცე საფუძველი უნდა გახდეს.**

ბევრ საწარმოში ინეინერ-ტექნიკური მუშაკების აქტიურად ჩაიბნინ შრომის მოწინავეთა მეთოდების შესწავლისა და გავრცელებისათვის წარმოებულ მუშაობაში. კერძოდ, ასეთია საქმის ვითარება დნეპროპეტროვსკის მთელ რიგ საწარმოებში. მაგალითად, კარლ ლიებნეხტის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში ბილსგლინავი საამქროს სპეციალისტები სწავლობენ საგლინავი განყოფილების სტახანოველთა შუმაობის ხერხებს. ბრიგადამ, რომელსაც ინეინერი ამხ. ნიკიფორი ხელძღვანელობს, შეისწავლა და ასწერა მეთოდი მილების გაგლინვისა მინიმალური დასაშვები მეტნაკლებობით, რომელსაც ყარანინეული მეტალურგი ილია სოხარევი ეყენებს. შემდეგ მუშაობის ეს ხერხები შეასწავლეს დანარჩენ მალინავებს. ამის შედეგად საამქროთ გაცილებით უკეთესად იწყო მუშაობა, მიღწეულია ლეთონოს დიდი ეკონომია. ძოლოროვის სახელობის ლეთონის კონსტრუქციების ქარხანაში ინეინერებმა და ტექნიკოსებმა შეისწავლეს და ასწერეს მნიშვნელოვანი ამხ. პეტრინეკოს, ლეკინის და სხვათა შრომის სტახანოვური ხერხები. სტახანოველთა შრომის საუკეთესო ხერხები ქარხნის ბევრი მუშის კუთვნილება გახდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

საუკეთესო სტახანოველთა მუშაობის ხერხების სისტემატურად და ფართოდ გავრცელების გზით საკითხია მოწონაეთა დონემდე აგიყვანოთ რიგითი და ჩამორჩენილი მუშები, ჩვენი წარმოების მუშაკთა მთელი მასა. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს ამოცანა მხოლოდ რიგითსა და ჩამორჩენილ მუშებს ეხება. გლეხოვის კომბინატში ახალი მეთოდით მუშაობის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ბევრმა მუშამ, რომლებიც ნორმებს 110-115 პროცენტით ასრულებენ, სტახანოველთა უფრო სრულყოფილი ხერხების შესწავლით მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი შრომის ნაყოფიერება და ნორმებს ახლა 125-130 პროცენტით ასრულებს. ამედან გასაგებია, პროდუქციის გამოშუშავების გადიდების რა შესაძლებლობებს მიიღებს ჩვენი ქვეყანა, როცა ყველა საწარმოში, ჩვენი მრეწველობის ყველა დარგში ფართოდ გავრცელდება სტახანოველთა მუშაობის საუკეთესო მეთოდები.

შრომის საუკეთესო მეთოდების შესწავლა, მუშათა შორის მათი გავრცელება, წარმოებაში ფართოდ დანერგვა დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა, რომლის გადასაჭრელადაც ყოველდღე უნდა შრომობდნენ საწარმოთა, სამინისტროთა და მთავარ სამმართველოთა მუშაკები, ყველა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. ყოველ საწარმოში შემუშავებულ უნდა იქნას მუშებისათვის შრომის მოწინავე მეთოდების სწავლების კონკრეტული გეგმები და ტაქტიკა კონტროლი გაიწიოს მათ შესრულებას. მთელი ეს მუშაობა უნდა წარმოებდეს მიმდინარე საწარმოო გეგმების შესრულებასთან ერთად ყაბრინი, ხოლს უწყობდეს საწარმოთა მთელი საქმიანობის ღონის აპაოლებას.

სათავეში ჩაუდგნენ მთელ მუშაობას შრომის მოწინავე მეთოდების შესწავლისა და გავრცელებისათვის, უზრუნველყოონ ამ უმნიშვნელოვანესი საქმის ყოველდღიური ხელძღვანელობა — ასეთია ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი არსებითი ამოცანა. მუშათა მთელი მასის სწარმოო-ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლება. შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, კომუნისტური. შრნენეულობის ტემპების ლაჩქარების ქმედითი ხაშუალება იქნება.

„პრავდის“ 5/IX მოწონავე

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის ქვეშის მრეწველობის სამინისტროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაკების — სოციალისტური შრომის გმირების ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

1949 წელს **ყურძნის** უხვი მოსავლის მოყვანისათვის, რაც იძლევა სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების უფლებას, სსრ კავშირის უმაღლესს საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 3 მარტის ბრძანებულების შესაბამისად დაჯილდოებულ იქნნს:

ლენინის ორდენით

1. **ბაღათრიშვილი** ივანე გიორგის-ძე—სოციალისტური შრომის გმირი, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 104,1 ცენტნერი ყურძენი.

2. **გეთიაშვილი** ვასილ ნიკოლოზის-ძე—სოციალისტური შრომის გმირი, მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 131,6 ცენტნერი ყურძენი.

3. **მინდორაშვილი** დავით ნიკოლოზის-ძე — სოციალისტური შრომის ვმირი, მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 126,4 ცენტნერი ყურძენი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 4 სექტემბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის ქვეშის მრეწველობის სამინისტროს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად **ყურძნის** უხვი მოსავლის მოყვანისათვის, როცა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებმა შესარულეს სახელმწიფოსადმი ასასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების 1949 წლის გეგმა და მოლიანად ეზეურეველყვეს 1950 წლის საგაზაფხულო თესვი ყველა კულტურის თესლით, **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება მიენიჭოთ და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medaeli **„ნამგალი და ურო“:**

1. **ბერიაშვილს** მიხეილ დიმიტრის-ძეს—გურჯაანის ღვინის ქარხნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 16,4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 110 ცენტნერი ყურძენი.

2. **გაგნიძეს** ილარიონ ალექსის-ძეს—წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 105,7 ცენტნერი ყურძენი.

3. **გიორგელაშვილს** ვასილ ილიას-ძეს—წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 106,4 ცენტნერი ყურძენი.

4. **გუჩოშვილს** გაბრიელ ალექსანდრეს-ძეს—კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 126 ცენტნერი ყურძენი.

5. **ძიბლაშვილს** გიგო გიორგის-ძეს — გურჯაანის ღვინის ქარხნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 4,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 101,2 ცენტნერი ყურძენი.

6. **ივანოვს** სტეფანე იაგორის-ძეს—კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,9 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 102,5 ცენტნერი ყურძენი.

7. **კრუჩინინს** ვასილ თევდორის-ძეს—მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 4,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 100,2 ცენტნერი ყურძენი.

8. **ლაფაურს** თევდორე ლევანის-ძეს—წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 105,2 ცენტნერი ყურძენი.

9. **მარჩენკოს** მატრონე ეკვთიმეს ასულს—ბომბორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 5,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 125,8 ცენტნერი ყურძენი.

10. **მირზაშვილს** სერგი არტემის-ძეს—მანავის ვ. ა. კანდელაკის სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 102,1 ცენტნერი ყურძენი.

11. **ნარიოშვილს** კარატინ ეგნატეს-ძეს—ბომბორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 11,8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 139,2 ცენტნერი ყურძენი.

12. **რედკინას** ტატიანა გრიგოლის ასულს—ბომბორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 6,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 131,1 ცენტნერი ყურძენი.

13. **უთალიშვილს** ალადინ ირონდინის-ძეს—წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 4,9 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 103,1 ცენტნერი ყურძენი.

14. **ხელაშვილს** გიორგი ლევანის-ძეს — კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს, რომელმაც 10,4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 104,5 ცენტნერი ყურძენი.

15. **ხუციაძეს** მიხეილ ალექსანდრეს-ძეს—წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა ‡00,7 ცენტნერი ყურძენი.

16. **ცოცუნაშვილს** იოსებ ზაქარიას-ძეს—წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 107,7 ცენტნერი ყურძენი.

17. **ეკვთიმიშვილს** გიორგი იოსების-ძეს—მანავის ვ. ა. კანდელაკის სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლურს, რომელმაც 3,2 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 106,4 ცენტნერი ყურძენი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1950 წლის 4 სექტემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ ჩხარის რაიონის ცენტრის სოფელ ჩხარიდან სოფელ თეიჯოლაში გადადგილისა და ჩხარის რაიონის თეიჯოლის რაიონად გადაკარგვების შესახებ

გადაკანონდეს იქნას ჩხარის რაიონის სახელწოდების შესაბამისად, ჩხარის ცენტრი სოფელ ჩხარიდან სოფელ ჩხარის რაიონის ეწოდოს თეიჯოლის რაიონი. თეიჯოლაში, და რაიონის „ ცენტრის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი. 1950 წ. 5 სექტემბერი.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთხუთმეტე ტომი ბელორუსულ ენაზე

მინსკი, 1 სექტემბერი. (საკუთარი). ბელორუსიის სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ბელორუსულ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეთხუთმეტე ტომი.

რუსული გამოცემის თარგმანი შეასრულეს საკავშირო ა. კ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ბელორუსიის ფილიალმა.

სოციალისტური შრომის გმირები

ლ. კ. რევია

ზუგდიდის რაიონის ახალოფლის სახელოსნოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარზე 6.150 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

თ. ვ. ლაბარია

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარზე 6.494 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

ქ. ტ. დარასელია

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კოლხიდის“ წევრი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 0,5 ჰექტარზე 6.244 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთლის მოყვანისათვის.

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეგეგეთი სახელმწიფოს ჩაბარონ 15.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი

აფხაზეთის კოლმეურნეობებმა 1 სექტემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის ჩაბარების წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის სოფლ. კომიტეტის მდივანი ამხ. **ბგელაძე** და აფხაზეთის სსრ მინისტროთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ზარანდია** იტყობინებიან, რომ აფხაზეთის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს ჩაბარონ 15.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეგეგეთით მოკრეფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 3.000 ტონა ჩაის ფოთოლი

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა 1 სექტემბრისათვის 104,1 პროცენტით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი წერილით საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველი ამხ. **ფინდეგლია** იტყობინებენა, რომ ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 3.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეგეგეთით სახელმწიფოს ჩაბარონ 1.500 კილოგრამი აბრეშუმის პარკი

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებმა 30 აგვისტოსათვის 101 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის ჩაბარების წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტროთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიონის მდივანი ამხ. **ლორთქიფანიძე** და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **დოგრაშვილი** იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარონ 1.500 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

ინგირის ლ. ჯ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეგეგეთით მოკრეფოს და სახელმწიფოს ჩაბაბარონ 200 ტონა ჩაის ფოთოლი

ინგირის ლ. ჯ. ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 28 აგვისტოსათვის 100,5 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე გამოგზავნილი დეპეშით მეურნეობის დირექტორი ამხ. **ცხადაია** და პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. **შუფალია** იტყობინებიან, რომ მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფოს და სახელმწიფოს ჩაბაბარონ 200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

პარტიული ცხოვრება

გამსხვილებულ კოლმეურნეობათა პარტორგანიზაციებს მეტი დახმარება ესაჭიროებათ

ოთხი წვრილი კოლმეურნეობა გაერთიანდა ერთ დიდ სასოფლო-სამეურნეო არტელად. ზრდისა და განმტკიცების ახალი პერსპექტივები გადაიშალა გამსხვილებული კოლმეურნეობის წინაშე.

მრავალრიცხოვანი გახდა საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია. მის რიგებში ახლა 27 კომუნისტია. ეს დიდი ძალაა სოფლად. ამ ძალის სწორად და მოფიქრებულად განაწილებით პარტორგანიზაციას შეუძლია თვალსაჩინო გავლენა მოახდინოს კოლმეურნეობის საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებაზე.

ახალი, გადიდებული ამოცანებიდან საჭირო დასკვნები როდი გამოიტანა სტალინირის რაიონის სოფელ დმენისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ვ. გიგოლაევი). მოადუნა რა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეთა შორის, პარტორგანიზაციამ ხელიდან გაუშვა საკოლმეურნეო ცხოვრების წარმართვაზე თავისი გავლენის გაძლიერების მნიშვნელოვანი ბერკეტი.

მეორე საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელს ა. მამიტოვს აგიტატორობა აქვს დავალებული. ამ პასუხსაგები დავალების შესრულებას იგი სასხვათაშორისოდ უდგება. გაზეთიც კი არა აქვს გამოწერილი. საერთოდ იშვიათად კითხულობს გაზეთს, ვერ ერკვევა მიმდინარე მომენტის ელემენტარულ საკითხებში. პარტორგანიზაცია ურიგდება ბრიგადირ-აგიტატორის მომზადების დაბალ დონეს.

კოლმეურნეობის სახნავ-სათესი ფართობის დიდი ნაწილი სარწყავია. კოლმეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას სარწყავი მიწების უფრო სრულად გამოყენებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის გაუმჯობესების მიზნით რწყვის ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ. ეს დადგენილება დღემდე არ გაუცვნიათ კოლმეურნეებისათვის. უფრო მეტიც. მას არ იცნობენ თვით აგიტატორები, მათ შორის ა. მამიტოვი.

გამსხვილებულ მეურნეობაში იზრდება საწარმოო ბრიგადის როლი, იზრდება ბრიგადირის პასუხისმგებლობა. პარტორგანიზაციის მუშაობის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს სისტემატური დახმარების გაწევა საწარმოო ბრიგადების ხელმძღვანელებისათვის. პარტორგანიზაცია მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდება ამ საქმეს. ბრიგადირი ა. მამიტოვი სუსტად ერკვევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლის აგროწესებში. მალე საშემოდგომო ხვნა-თესვა დაიწყება, ბრიგადირმა კი ისიც არ იცის, თუ თვითეულ ჰექტარზე რა რაოდენობით უნდა დაითესოს შემოდგომის პურეულის თესლი.

პარტიულ კრებაზე მართალია დროდადრო იხილავენ ბრიგადირთა მოხსენებებს, მაგრამ საკითხს პარტიულად, შემოქმედებითად ვერ უდგებიან.

საერთოდ კოლმეურნეობაში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელებთან. კომუნისტი გიორგი დუდაევი მემინდვრეობის პირველ ბრიგადას ხელმძღვანელობს. იგი სათანადოდ ვერ ერკვევა თავის მოვალეობაში, ვერ დაეუფლა სამუშაოთა აღრიცხვის საქმეს. მისადმი დახმარება კი იმით გამოიხატა, რომ გამოუყვეს აღმრიცხველი, რაშიაც ბრიგადირი გ. დუდაევი საკუთარ შრომადღეებს იხდის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრიგადას, რომელსაც ახლა გ. დუდაევი ხელმძღვანელობს, მარტო წელს სამჯერ შეეცვალა ხელმძღვანელი. კარგად არ იციან აღრიცხვის საქმე აგრეთვე ბრიგადირებმა არტემ გიგოლაევმა და იოსებ ვალიევმა. პარტორგანიზაცია კი რატომღაც თავის მოვალეობად არ თვლის ჩაერიოს საქმეში და კონკრეტული დახმარება გაუწიოს ბრიგადირებს.

კოლმეურნეობათა გაერთიანების შემდეგ საჭირო იყო პარტორგანიზაციას გაზრდილი მოთხოვნები წაეყენებინა კომუნისტებისათვის, გაეძლიერებინა მათი პასუხისმგებლობა. მაგრამ ეს ასე არ არის. აი ერთი დამახასიათებელი მაგალითი: კოლმეურნეობათა გაერთიანებამდე კომუნისტი ირაკლი ვალიევი, რომელსაც საშუალო განათლება აქვს, საწყობის გამგედ მუშაობდა და სერიოზულ პარტიულ დავალებას ასრულებდა, იყო აგიტატორი. სასოფლო-სამეურნეო არტელის გამსხვილების შემდეგ იგი კვლავ საწყობის გამგედ მუშაობს, ხოლო პარტიულ დავალებას აღარ ასრულებს.

— საწყობში სამუშაო გადიდდა, აგიტატორის მოვალეობას ვეღარ შევასრულებდი და ამიტომ პარტორგანიზაციამ გადაწყვიტა დავალება აღარ მოეცა ჩემთვისო, — ამბობს ამხ. ვალიევი. პარტორგანიზაციის მხრივ მომთხოვნელობის შესუსტების შედეგად ი. ვალიევი აღარც საკუთარ თავზე მუშაობს. უკანასკნელი თვეების განმავლობაში მას არაფერი წაუკითხავს პოლიტიკური, მხატვრული და აგრონომიული ლიტერატურიდან. არც გაზეთი აქვს გამოწერილი.

ასევე პარტიული დავალების მიუცემლად დატოვა პარტორგანიზაციამ კოლმეურნეობის აღმრიცხველი კომუნისტი ბაგრატ ვალიევი (იგიც საშუალო განათლებითაა).

საკუთარ თავზე მუშაობას პასუხისმგებლობით არ ეკიდება საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნის მოადგილე, კოლმეურნეობის მოანგარიშე სოფრომ ძუკაევი. უკანასკნელ ხანებში იგი სრულიად არ კითხულობს წიგნებს.

ჩამლილია საგიტაციო-მასობრივი მუშაობა კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმების მუშაკთა შორის. კოლმეურნეებისათვის დღემდე არ გაუცნიათ თეთრი წყაროს რაიონის მოწინავე მეცხოველეთა მიმართვა. ამ მიმართვას არ გასცნობია კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი ანა ვალიევა. მეცხოველეობის ფერმები მთებშია, სოფლიდან 25 კილომეტრის დაშორებით. იქ მყოფ მეცხოველეებთან გაზეთების გაგზავნაც კი არ არის მოწესრიგებული. ფერმები გეგმას ვერ ასრულებენ. გეგმით თვითეულ საფურაქე ძროხაზე 850 ლიტრი რძე უნდა მიიღონ, ჯერჯერობით კი მხოლოდ 360 ლიტრი აქვთ მიღებული. კოლმეურნეობამ გეგმით 110 ტონა სილოსი უნდა ჩადოს, დღემდე ამ მხრივ არაფერია გაკეთებული. საჭირო იყო კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად პირველადი პარტორგანიზაცია სერიოზულად მოჰკიდებოდა საქმეს, დაერაზმა მეცხოველეობის ფერმის მუშაკები ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

გაზრდილი ამოცანების შესასრულებლად ძალებს ვერ რაზმავს სტალინირის რაიონის სოფელ სარაბუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია. მიმდინარე წლის მაისში გაერთიანდნენ ქვემო და ზემო სარაბუკის და კოხათის კოლმეურნეობები. მსხვილ სასოფლო-სამეურნეო არტელთან შეიქმნა მრავალრიცხოვანი პარტორგანიზაცია, რომელიც 31 კომუნისტს აერთიანებს. პარტორგანიზაციის მდივნად კომუნისტი ისმაილ საბანოვი აირჩიეს. იგი კოლმეურნეობათა გაერთიანებამდე საწყობის გამგედ მუშაობდა კოხათში. გაერთიანების შემდეგ საწყობის გამგე აღარ არის. კოლმეურნეობაში მუშაობაზეც გული აიცრუა. იშვიათად თუ შეხვდებით საკოლმეურნეო მინდორში. მეტწილად პირად საქმეზე დადის. ხშირად კოლმეურნეობის გამგეობამ არ იცის, სად იმყოფება პარტორგანიზაციის მდივანი. ცხადია, სოფლის კომუნისტების ასეთი წინამძღოლი სათანადოდ ვერ წარმართავს მსხვილი მეურნეობის პარტორგანიზაციის მუშაობას.

კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადებს შორის გაშლილი არ არის სოციალისტური შეჯიბრება. ამ საკითხისადმი პარტორგანიზაცია გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს. საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელები კომუნისტები გ. კოკოევი და ი. წახილოვი ნაყოფიერად ვერ წარმართავენ ბრიგადების მუშაობას, მჭიდრო ურთიერთობა არა აქვთ მექანიზატორებთან, რომლებიც მათი ბრიგადებისათვის მიჩენილ ნაკვეთებში მუშაობენ. ახლა სარაბუკელთა მინდვრებში ქსუისის მტს-ის მე-2 სატრაქტორო ბრიგადა ეწევა მზრალად ხვნას. რა ესაჭიროება ტრაქტორისტებს, როგორია მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხი,—ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. კომუნისტი ბრიგადირები გ. კოკოევი და ი. წახილოვი არ მუშაობენ თავიანთი მომზადების დონის ასამაღლებლად, არ კითხულობენ წიგნებს.

გაერთიანების შემდეგ კოლმეურნეობაში კედლის გაზეთის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა, ისიც კომკავშირული ორგანიზაციის ძალებით.

გამსხვილებული მეურნეობის განმტკიცებისათვის ყოველი კოლმეურნის შრომას დიდი მნიშვნელობა აქვს. შრომის მაღალი დისციპლინა წარმატების მოპოვების საწინდარია. სარაბუკის კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინა მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას. კოლმეურნეებმა სანდრო ალბოროვმა, ამირან, ზაურ, ეფიმ, კოლა ქუმარიტოვებმა კოლმეურნეობაში მუშაობას თავი აარიდეს და პირად საქმეზე წავიდნენ. პარტორგანიზაცია თავის მოვალეობად არ თვლის დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობის გამგეობას შრომის დისციპლინის განმტკიცებაში.

დმენისის ლენინის სახელობისა და სარაბუკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობათა პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმითაც, რომ პარტიის სტალინირის რაიკომი დღემდე მათ არადამაკმაყოფილებლად ეხმარება.

საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინირის რაიკომი ვალდებულია კონკრეტული დახმარება გაუწიოს გამსხვილებულ კოლმეურნეობათა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, განამტკიცოს ისინი, პრაქტიკულად ასწავლოს ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად მუშაობის მოწყობა.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

თბილისის მშენებლობებზე

მეტეხის ძველ ციხესთან

მეტეხის ციხე ისნის მხრიდან დედაქალაქის საიმედო გუშაგად იყო მიჩნეული ძველ თბილისში, რომლის ცენტრიც მაშინ სიონის ტაძრის უბანი იყო, ხოლო კალოსუბანი, სადაც ახლა კომუნართა ბაღია, ქალაქგარე ადგილად ითვლებოდა.

აქ, მეტეხის ციხესთან, მტკვარი იმთავითვე ყველაზე ვიწრო ზოლით ჰყოფდა დედაქალაქს. მდინარემაც ვერაფერი დააკლო მეტეხის ბაზალტოვან კლდეს, ათასეულ საუკუნეთა განმავლობაშიაც ვერ შეძლო ამ ვიწრო ყელის გაფართოება. ამით ისარგებლეს ძველმა თბილისელებმა, ამ ვიწრო ყელზე ააგეს ისანთან შესაერთებელი ხიდი, და დარჩა ეს ადგილი ხელუხლებლად აქამდე.

დედაქალაქი გაიზარდა, მრავალი ათეული კილომეტრით გასცდა ძველ ფარგალს და ვიწრო ხიდმაც ვეღარ დააკმაყოფილა ქალაქის გაზრდილი მოთხოვნილება. საჭირო გახდა მეორე, პარალელური ხიდის აშენება.

ახლა არც ეს კმარა. გაფართოვდნენ დედაქალაქის სამრეწველო უბნები. ორთაჭალის საწარმოებს ახალ საწარმოთა კორპუსები შეემატნენ; ძველი „შაითან ბაზრის" ნაცვლად ქალაქის ეს ნაწილი ბალნეოლოგიური კურორტის ხედმა დაამშვენა. წამოიჭრა ქალაქის სხვა სამრეწველო უბნების ამ უბანთან უკეთესად დამაკავშირებელი მაგისტრალის შექმნის აუცილებლობა.

ორი პატარა ხიდი, მეტეხის ყოფილ ციხესთან გაზრდილი საქალაქო ტრანსპორტის შემაფერხებელ ზოლუდებად იქცნენ. ამიტომ გადაწყვიტა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოეხდინა ამ ორი პატარა ხიდის მიდამოთა რეკონსტრუქცია მდინარის ორივე ნაპირზე.

ძველისძველი შენობები, რომლებიც აქ იყო აგებული თბილისის ახლანდელ სახეს აღარ შეეფერებოდნენ. ვიწრო შუკები, რომლებითაც ეს ხიდები უკავშირდებოდნენ ქალაქის გაღმა-გამოღმა ნაწილს, თბილისს აუშნოებდნენ.

რამდენიმე ხნის წინათ მოვიდნენ აქ მშენებლები, მტკვრის ორივე მხარეზე შემოზღუდეს სარეკონსტრუქციოდ გათვალისწინებული ძველი კვარტალები და შეუდგნენ შენობათა აღებას. რამდენიმე დღეში ეს სამუშაო დამთავრდება და დაიწყება ამ ადგილას დიდი და ფართო, არქიტექტურული გემოვნებით გაფორმებული, ქალაქის მთავარი მაგისტრალის შესაფერისი ხიდის მშენებლობა.

მტკვრის მარცხენა მხრიდან ხიდის მისადგომთან გათვალისწინებულია მოედნის მოწყობა. ასეთივე მოედანი იქნება მდინარის მარჯვენა მხარეზე და ეს ახალი მოედანი შეუერთდება უკვე არსებულ მიასნიკოვის მოედანს, საიდანაც იწყება გრძელი და განიერი მიასნიკოვის ქუჩა. ხელუხლებლად იქნება დატოვებული მეტეხის ბაზალტოვანი კლდე, რომელიც შემდგომში დაიფარება ხვიარა მცენარეებით და გადაიქცევა მთლიან მწვანე კედლად.

სანამ ამ ხიდის მშენებლობა დამთავრდებოდეს, მის მახლობელ მოედანს უკვე შეუერთდება ახალი სანაპირო მაგისტრალი, რომელიც ბარათაშვილის რეკონსტრუირებული ხიდიდან პირდაპირ გაჰყვება მტკვარს ყოფილი რიყის გაყოლებით. ამ მაგისტრალს ახალი ხიდი გადააბამს ქალაქის მარჯვენა მხრის მაგისტრალთან — მიასნიკოვის ქუჩასთან. შეიქმნება იმის შესაძლებლობა, რომ თბილისის მთავარი სარკინიგზო სადგურიდან და ქალაქის სხვა უბნებიდან წამოსული ავტოტრანსპორტის ნაკადი ამ მაგისტრალით გაშვებულ იქნას ორთაჭალის სამრეწველო უბნისაკენ და ამით განიტვირთოს ქალაქის სხვა ცენტრალური მაგისტრალები, მათ შორის, ლესელიძის ქუჩა.

ახალი ხიდი, რომლის მშენებლობაც ძირითადად მომავალ წელს უნდა დამთავრდეს, ორმალიანი იქნება. პირველი მალით ხიდი გადაუვლის მდინარეს, ხოლო მეორე მალი ნავარაუდევია ჯვარედინი მოძრაობისათვის. ხიდის ამ მალის ქვეშ გაივლის მიასნიკოვის ქუჩა და შეუერთდება ირაკლის ქუჩას, რომელიც მას ქალაქის მარჯვენა მხრით დააკავშირებს ბარათაშვილის ქუჩასთან.

ახალი ხიდის სიგანედ გათვალისწინებულია 25 მეტრი. საერთო სიგრძე კი 100 მეტრს მიაღწევს. ხიდი იქნება თაღოვანი ტიპისა, რკინა-ბეტონისაგან ნაგები.

ხიდის პროექტი ეკუთვნის ინჟინერ გ. ჩომახიძეს. მშენებლობას და მთლიანად ამ უბნის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს აწარმოებს თბილმშენის მეოთხე კანტორა, რომელსაც ინჟინერი მ. კაშიაშვილი ხელმძღვანელობს. სამუშაოთა მთავარი მწარმოებელია ინჟინერი ბ. დონდუა, ხოლო ხიდის მშენებლობის კონსულტანტი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი კ. ზავრიევი.

რეკონსტრუქციისა და აქ ახალი ხიდის აგების შემდეგ ეს უბანი ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი იქნება.

დ. ამირანიძე

საბჭოთა კინოს მოღვაწეებს გადაეცათ პრემიები და საპატიო დიპლომები

მე-5 საერთაშორისო კინოფესტივალზე ხუთი მთავარი პრემიიდან სამი პრემია საბჭოთა ფილმებს მიაკუთვნეს.

სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მინისტრმა ი. გ. ბოლშაკოვმა გადასცა რეჟისორებს მ. ჭიაურელს, მ. კალატოზოვს, ი. პირიევს, ჯ. იუდინს და სხვებს საერთაშორისო ფესტივალის ჟიურის მიერ მიკუთვნებული პრემიები და საპატიო დიპლომები სურათებისათვის: „ბერლინის დაცემა" (პირველი პრემია), „განწირულთა შეთქმულება" (მშვიდობის პრემია), „ყუბანელი კაზაკები" (შრომის პრემია), „მამაცი ადამიანები" (პრემია საუკეთესო ფერადი ფილმისათვის), „მსოფლიოს ახალგაზრდობა" (პრემია საუკეთესო დოკუმენტალური სრულმეტრაჟიანი ფილმისათვის), „ტყის ამბავი" (პრემია საუკეთესო მეცნიერულ-პოპულარული ფილმისათვის).

ამას გარდა, პრემიები გადაეცა რეჟისორ ვ. პუდოვკინს საუკეთესო რეჟისორული ნაშრომისათვის (ფილმი „ჟუკოვსკი") და კომპოზიტორ ი. დუნაევსკის საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის (ფილმი „ყუბანელი კაზაკები"(. (საქდესი).

რუსეთში პირველი ტრამვაის ამუშავების 70 წელი

ლენინგრადი, 3 სექტემბერი. (საქდესი). დღეს შესრულდა 70 წელი, რაც რუსეთში ამუშავდა მსოფლიოში პირველი ტრამვაი, რომელიც აგებული იყო შესანიშნავი რუსი გამომგონებლის ფ. ა. პიროცკის პროექტით. საქდესის კორესპონდენტთან საუბარში რუსული ტექნიკის ცნობილმა ისტორიკოსმა სტალინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა ვ. ვ. დანილევსკიმ განაცხადა:

1874 წლის სექტემბერში ვოლკოვის მინდორზე პეტერბურგში ფ. ა. პიროცკიმ იმ დროისათვის დიდი მასშტაბით მოახდინა ცდები, რომლებმაც ცხადყვეს, რომ შესაძლებელია მნიშვნელოვან ელექტროსიმძლავრეთა გადაცემა მანძილზე.

1876 წლის აპრილში გამომგონებელმა დაიწყო ცდები ელექტროგადაცემისათვის ჩვეულებრივი სარელსო გზის გამოსაყენებლად. ამ მიზნით მან გამოიყენა რკინიგზის სამნახევარი ვერსის სიგრძის უბანი სესტრორეცკის მახლობლად.

1880 წლის 22 აგვისტოს (ახალი სტილით 3 სექტემბერს) პიროცკიმ მოახდინა პეტერბურგში ცხენის რკინიგზის რელსებით მსოფლიოში პირველი ელექტროგადაცემის ცდა. დამსწრეთა შემონახული აღწერილობით შეიძლება გავიგოთ, რომ დეგტიარნი შესახვევისა და ბოლოტნაია ქუჩის რაიონში „გაჭენებული ცხენის სიჩქარით" მიდიოდა „კონკის" დიდი ორიარუსიანი ვაგონი, რომელშიც 40 მგზავრი იჯდა.

არქივებში აღმოჩენილი დოკუმენტები და ნახაზები ადასტურებენ, რომ პიროცკის ვაგონს ჰქონდა ვაგონქვეშ დაკიდებული ძრავა, საკონტროლო მართვა, რომელიც სვლის სიჩქარის რეგულირებისა და მოძრაობის მიმართულების შეცვლის შესაძლებლობას იძლეოდა. დენი მიდიოდა რელსებით, ვინაიდან მაშინ გამოყენებული დაბალი ძაბვისას ენერგიის დიდ მანძილზე გადაცემა შეიძლებოდა მხოლოდ დიდი კვეთის გამტარებით. ცნობილია, რომ მხოლოდ მეორე შესანიშნავი რუსი ელექტროტექნიკოსის, პიროცკის თანამედროვის დ. ა. ლაჩინოვის აღმოჩენის შემდეგ გამოირკვა, რომ ელექტროენერგია დიდი დანაკარგის გარეშე შეიძლება გადაცემულ იქნას წვრილი სადენებითაც.

ფ. ა. პიროცკის თვალსაჩინო აღმოჩენა ერთბაშად როდი გამოიყენეს რუსეთში. ცხენის რკინიგზების სააქციო საზოგადოებანი პეტერბურგსა და მოსკოვში ყოველნაირად აბრკოლებდნენ ამ შესანიშნავი აღმოჩენის ფართო მასშტაბით რეალიზაციას. მხოლოდ 1891 წელს კიევში, სადაც არ იყო ცხენის რკინიგზები, გამოჩნდა რეგულარულად მოქმედი ელექტროტრამვაი.

საკავშირო კონფერენცია სოფლის ელექტროდანადგართა ექსპლოატაციის საკითხებზე

ლენინის სახელობის დნეპრჰესი, 4 სექტემბერი. (საქდესი). დღეს საღამოს აქ, ენერგეტიკოსთა კულტურის სასახლეში, გაიხსნა საკავშირო კონფერენცია-კურსები სოფლის ელექტროდანადგართა ექსპლოატაციის საკითხებზე. კონფერენციაზე იყვნენ საქართველოს, ყაზახეთის, უზბეკეთის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, უკრაინის, ალტაისა და ყუბანის დელეგატები, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა ქალაქების მეცნიერი მუშაკები.

კონფერენციის მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა „გლავსელელექტროს" მთავარმა ინჟინერმა ა. მ. სარქისიანმა. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ მოიპოვა უდიდესი წარმატებანი ელექტროფიკაციაში. 1945-დან 1950 წლამდე სასოფლო ელექტროდანადგართა სიმძლავრე თითქმის 4,5-ჯერ გადიდდა. ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობათა რაოდენობა გადიდდა თითქმის 5,5-ჯერ, ხოლო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნოებისა — 3-ჯერ.

წელს გათვალისწინებულია ელექტროფიცირებულ იქნას წყალმომარაგება 11.500 კოლმეურნეობაში, საკვების დამზადება—6 ათას კოლმეურნეობაში, ძროხის წველა—5 ათას კოლმეურნეობაში, ცხვრის პარსვა—3 ათას კოლმეურნეობაში, მტს-ების 2.100 სახელოსნო გადაყვანილ იქნას ელექტროენერგიაზე, ელექტროფიცირებულ იქნას მრავალი საბჭოთა მეურნეობა და საცდელი მეურნეობა.

რიბნოეს, კორსუნ-შევჩენკოვსკისა და ბაქენოვის იმ მტს-ების გამოცდილებამ, სადაც ელექტროტრაქტორები მუშაობენ, ცხადყო ელექტრობის გამოყენების დიდი ეფექტიანობა ხვნაში, ნაწვერალის აოშვაში, თესვასა და სხვა შრომატევად სამუშაოებში.

კონფერენცია-კურსები, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაში პრაქტიკოსთა და მეცნიერთა მიერ მოპოვებული გამოცდილების განზოგადებით, დიდ დახმარებას გაუწევს მძლავრი საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგურების მშენებლობას, ამ ელექტროსადგურების ენერგოსისტემებად გაერთიანებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ფართოდ გამოვიყენოთ ელექტროენერგია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა პროცესში.

კონფერენცია 10 სექტემბრამდე გასტანს.

ახალი ამოცანების წინაშე

(საუბარი რუსთაველის თეატრის დირექტორთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტ ა. ხორავასთან)

რუსთაველის თეატრის წლევანდელი საგასტროლო მოგზაურობა საქართველოს რაიონებსა და ქალაქებში მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და საგულისხმო იყო.

ახალ მაყურებელთან შეხვედრისას თეატრის კოლექტივი დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა. თეატრი ცდილობდა სრულყოფილად ეჩვენებინა მაყურებლისათვის თავისი შემოქმედება, თავის მხრივ კი მიეღო ახალი გამოცდილება, დაკვირვებოდა იმ შესანიშნავ მოწინავე ადამიანებს, ახალი ცხოვრების ჭეშმარიტ მშენებლებს, რომლებიც უდიდესი სიყვარულითა და ენთუზიაზმით მოდიოდნენ ქალაქებს დაშორებული სოფლებიდან ჩვენი სპექტაკლების სანახავად.

საგასტროლო მოგზაურობის პერიოდში რუსთაველის თეატრმა მაყურებელს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები. ნაჩვენები იყო ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები", შ. დადიანის „ნაპერწკლიდან", პ. პავლენკოსა და მ. ჭიაურელის „დიადი მოძღვრისათვის", ბ. ლავრენიევის „ამერიკის ხმა", ა. ბარიანოვის „იმათ მხარეში", თ. დონჯაშვილის „გამარჯვებულთა ღიმილი", გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი", მ. მრევლიშვილის „ნ. ბარათაშვილი", ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე" და უ. შექსპირის „ოტელო".

თეატრმა თავისი სპექტაკლები უჩვენა ფოთის, ქუთაისის, ზუგდიდისა და გალის მაყურებელს, გარდა ამისა გეგმის გარეშე მომსახურება გაუწია ცხაკაიას, წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძისა და ზესტაფონის რაიონების მოსახლეობას.

გასტროლების პერიოდში თეატრის სპექტაკლებს 50 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო, რაც მოწმობს ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის უდიდეს ზრდას, მისი გემოვნებისა და კულტურული მოთხოვნილების ამაღლებას.

ჩვენ, თეატრის მუშაკები, უდიდესი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს მაყურებელთა დარბაზს, რომელიც მუდამ სავსე იყო სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მოწინავე ადამიანებით. ეს ჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანები, რომელთა მკერდს ამშვენებს ორდენები და მედლები, სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავები, გვაოცებდნენ თავიანთი გემოვნებით, ხელოვნებისა და ლიტერატურის ცოდნით. ვუკვირდებოდით მათ და ვგრძნობდით, რომ ხელოვნება განუზომელ ვალშია მათ წინაშე, რომ თეატრი ჯერ კიდევ ჩამორჩება ჩვენი დიადი სინამდვილის სრულყოფილად ასახვის ამოცანებს.

გასტროლების პერიოდში თეატრმა დიდი საშეფო და საზოგადოებრივი მუშაობა გასწია. ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით თეატრის კოლექტივმა მოაწყო შეხვედრები ფოთის, ქუთაისის და ზუგდიდის მოსწავლე ახალგაზრდებთან, რაც მთავრდებოდა დიდი კონცერტებით.

ქუთაისში წითელი ჯვრის ორგანიზაციის ადგილობრივი განყოფილების სასარგებლოდ თეატრმა გამართა დიდი კონცერტი, აგრეთვე უჩვენა სპექტაკლი „ნ. ბარათაშვილი". კონცერტისა და სპექტაკლის მთელი შემოსავალი გადაეცა ამ ორგანიზაციის ფონდში.

მოეწყო თეატრის კოლექტივის შეხვედრა ქუთაისის საწარმოების მუშა-მოსამსახურეებთან, რასაც 2 ათასამდე კაცი დაესწრო. შეხვედრის შემდეგ შედგა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თეატრის საუკეთესო ძალებმა.

ზუგდიდში თეატრის კოლექტივმა დაათვალიერა ინგირის ქაღალდის კომბინატი. აქვე შედგა სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელის მოწერისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგზე სიტყვით გამოვედი, როგორც მშვიდობის დაცვის საბჭოთა მუდმივი კომიტეტის წევრი.

უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის ყველა სპექტაკლს, კონცერტსა და გამოსვლას დიდი პოლიტიკური, დამრაზმველი მნიშვნელობა ჰქონდა.

ახალ სეზონს, რომელსაც რუსთაველის თეატრი ხსნის თავის ძველ, ამჟამად კაპიტალურად რეკონსტრუირებულ და შეკეთებულ შენობაში, თეატრის კოლექტივი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით ხვდება.

თეატრი ახალ სეზონში განახორციელებს სპექტაკლებს ციკლიდან, რომელიც მიძღვნილია პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელებისა და ბელადების — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი. ესენია — ვ. ვიშნევსკის „დაუვიწყარი 1919", ი. პოპოვის „ოჯახი" და გ. ნახუცრიშვილის „სიჭაბუკე ბელადისა".

პიესას „დაუვიწყარი 1919" დგამს ახალგაზრდა რეჟისორი მ. თუმანიშვილი, მხატვარია დ. თავაძე. ამ სპექტაკლში ვ. ი. ლენინის როლს შეასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მჟავია, ი. ბ. სტალინის როლს —რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. საღარაძე.

პიესას „ოჯახი" დგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ალექსიძე, აფორმებს მხატვარი ფ. ლაპიაშვილი; ლენინის როლზე მუშაობს მსახიობი კ. მახარაძე.

პიესას „სიჭაბუკე ბელადისა" განახორციელებს ახალგაზრდა რეჟისორი ა. დვალიშვილი, მხატვარია ფ. ლაპიაშვილი; ახალგაზრდა სტალინის როლს შეასრულებს მსახიობი გ. კიკნაძე.

თეატრი ამზადებს აგრეთვე ი. მოსაშვილის პიესას „მისი ვარსკვლავი", მეცხოველეობაში ქართველ ნოვატორთა მუშაობის შესახებ, რომელიც სეზონის პირველ პრემიერად დაიდგმება. სპექტაკლს დგამს რეჟისორი დ. ალექსიძე, მხატვრულად აფორმებს ფ. ლაპიაშვილი.

რუსთაველის თეატრი მუშაობს ქართველ დრამატურგებთან და მწერლებთან, რომლებიც ჩვენთვის ახალ პიესებს წერენ. ახალ დრამატულ ნაწარმოებებზე მუშაობენ — ა. ბელიაშვილი, რომელიც ამთავრებს პიესას საქართველოს რუსეთთან შეერთების თემაზე, ლევან ასათიანი — ილია ჭავჭავაძის შესახებ, ი. მოსაშვილი—დუშეთის აჯანყების შესახებ, ლ. ქიქოძე და მ. მრევლიშვილი — საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის, სიმონ ჩიქოვანი — დავით გურამიშვილის, ვ. გაბესკირია — ქართველ მეციტრუსეთა შესახებ და სხვ.

უდიდესი მზრუნველობა, რასაც პარტია და მთავრობა მუდამ იჩენდნენ და იჩენენ რუსთაველის თეატრისადმი, ყველა შესაძლებლობას ქმნის იმისათვის, რომ ჩვენმა შემოქმედებითმა კოლექტივმა ახალ სეზონში უფრო ღრმაიდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოებნი შექმნას იმ ამოცანების ღირსეულად შესრულებისათვის, რომლებიც დასახულია ჩვენი ხელოვნების მუშაკთა წინაშე.

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

ლენინაკანისა და კიროვაბადის მშრომელთა წარმომადგენლები ქუთაისში

ამ დღეებში ქუთაისს ეწვივნენ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქების—ლენინაკანისა და კიროვაბადის მშრომელთა წარმომადგენლები.

ლენინაკანის მშრომელთა დელეგაციაში იყვნენ სომხეთის კ. პ. (ბ) ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის მდივანი დ. შამციანი, ადგილობრივი საფეიქრო კომბინატის დირექტორი ვ. პოღოსოვი, ცნობილი რკინიგზელი მემანქანე ქალი მ. აბულოვა, არქიტექტორი რ. გასპაროვი და ლენინაკანის პუშკინის სახელობის საშუალო სკოლის დირექტორი დამსახურებული პედაგოგი ა. გულარიანი.

ქ. კიროვაბადიდან ჩამოსულთა შორის იყვნენ: მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. ბაბაევი, სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი ს. ყულიევა, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მმართველი რ. ალიევი და სხვ.

სტუმრები ეწვივნენ პარტიის საქალაქო კომიტეტს, სადაც საუბარი ჰქონდათ საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანთან ამხ. გრ. ნარსიასთან. სტუმრებმა დაათვალიერეს საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, სამთო მანქანათმშენებელი ქარხანა, მაუდის ფაბრიკა, მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანა და კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, აგრეთვე აბრეშუმკომბინატი, ლიტოპონის ქარხანა და ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები. სტუმრები ესაუბრნენ ქუთაისის საწარმოთა გამოჩენილ სტახანოველებს, სამეურნეო ხელმძღვანელებსა და პარტიულ მუშაკებს.

26 აგვისტოს შედგა ქუთაისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის საქალაქო კრება მოძმე რესპუბლიკების ქალაქების—ლენინაკანისა და კიროვაბადის მშრომელთა წარმომადგენლებთან ერთად.

კრებაზე საქალაქო კომიტეტის მდივნის ამხ. გრ. ნარსიას შესავალი სიტყვის შემდეგ საინფორმაციო მოხსენებები 1950 წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმების შესრულებისა და ქალაქების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელების შედეგების შესახებ გააკეთეს საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგემ ამხ. თ. ღიბრაძემ, პარტიის ლენინაკანის საქალაქო კომიტეტის მდივანმა დ. შამციანმა, მშრომელთა დეპუტატების კიროვაბადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ბაბაევმა.

მომხსენებლებმა დამსწრეთ გააცნეს რა მოპოვებული წარმატებები, ილაპარაკეს იმ გამოცდილებაზე, რაც ამ ქალაქების საწარმოებში დაგროვდა. მოხსენებათა გამო თათბირზე სიტყვები წარმოსთქვეს ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორმა მ. ივანოვმა, საკონსერვო ქარხნის დირექტორმა ა. მაჭარაძემ, პროფესორმა ა. ბოჭორიშვილმა, ინჟინერმა ა. მიქელაძემ, არქიტექტორმა კ. ლომთაძემ, ლენინაკანის საფეიქრო კომბინატის დირექტორმა ვ. პოღოსოვმა და სხვ.

კიროვაბადისა და ლენინაკანის მშრომელთა დელეგაციის სტუმრობა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამ ქალაქის მშრომელთა ურღვევი სტალინური მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

ვ. ლალიაშვილი

გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის" რედაქტორი.

განვახორციელოთ საკავშირო პროფსაბჭოს IV პლენუმის გადაწყვეტილებანი

თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება

ძერჟინსკის სახელობის კლუბში შედგა თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკავშირო პროფსაბჭოს IV პლენუმის შედეგები. მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. კოჭლამაზაშვილმა.

საკავშირო პროფსაბჭოს IV პლენუმმა, — ამბობს მომხსენებელი,— განიხილა ელექტროსადგურების სამინისტროს საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, პროფკავშირული სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი ქსელის შემდგომი გაფართოების და მუშა-მოსამსახურეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები.

განხილული საკითხების გამო პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ისინი რაზმავენ პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურული მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად.

ომისშემდგომი ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში მარტო სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტრომ მუშა-მოსამსახურეთათვის ააგო 1.255 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მნიშვნელოვანი რაოდენობით გადასცა საექსპლოატაციოდ კლუბები, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, სასადილოებისა და მაღაზიების შენობები, კომუნალური საწარმოები. ტრესტმა ხრამჰესმშენმა ამავე პერიოდში ააგო 31 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რასაც მრავალი მილიონი მანეთი მოხმარდა. მიუხედავად ამისა, პლენუმმა აღიარა, რომ სამინისტრო, მთელი რიგი ელსადგურების, ტრესტების, მშენებლობათა და ტორფის საწარმოების ხელმძღვანელები, სათანადო პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები და ადგილობრივი ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საბინაო მშენებლობას, საკმაო მზრუნველობას არ იჩენენ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის.

პლენუმის მიერ აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებანი დამახასიათებელია ზემოაღნიშნული სამინისტროს სისტემის ჩვენი რესპუბლიკის მრავალი ობიექტისთვისაც. მართალია, ტრესტმა ხრამჰესმშენმა ომისშემდგომ ოთხ წელიწადში საბინაო მშენებლობის გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბა, მაგრამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საბინაო მშენებლობის 1950 წლის დავალება მან მხოლოდ 39,7 პროცენტით შეასრულა. საბინაო მშენებლობის ასეთი ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ტრესტ ხრამჰესმშენის კანტორამ დაგვიანებით დაამუშავა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტები. ზოგიერთი პროექტი მშენებლობებს მხოლოდ ივლისში გადასცეს. მთელ რიგ სამშენებლო ობიექტებზე, საშენი მასალებით მათი ცუდი მომარაგების გამო, დანერგილი არ არის მშენებლობის ნაკადურ-ჩქაროსნული მეთოდი, სუსტად იყენებენ სამშენებლო მექანიზმებს, ხშირია მუშახელის მოცდენა.

საქენერგოს სამმართველომ გასულ წელს ვერ შეასრულა ახალი საბინაო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა, აგრეთვე არსებული სახლების რემონტის 1949 წლისა და მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალებანი. რაც შეეხება ტრესტ საქელექტროქსელმშენს, მან საბინაო მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმა 7 თვეში შეასრულა მხოლოდ 24,3 პროცენტით. სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს მშენებლობის ხარისხი, ვინაიდან მთელი რიგი ახლად აგებული სახლები მეორე-მესამე წელიწადს კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებენ. ხშირია აგრეთვე დაუმთავრებელ სახლებში ჩასახლების შემთხვევები.

მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი სხვა მშენებელი ორგანიზაციების სუსტი მუშაობისა და მშენებლობის გაჭიანურების მაგალითები და აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის პროფესიული და სამეურნეო ორგანიზაციების ამოცანაა ყველა ღონისძიება იხმარონ საბინაო და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, მუშა-მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მომხსენებელი ეხება მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის საკითხს, ასახელებს ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელთა უსულგულო დამოკიდებულებას მშრომელთა საჩივრებისადმი, შრომის დაცვის კანონების დარღვევის ფაქტებს და ამბობს, რომ პროფორგანიზაციების მოვალეობაა განუხრელად იბრძოლონ ამ დამახინჯებათა აღმოსაფხვრელად.

ამხ. კოჭლამაზაშვილმა ვრცლად გააშუქა პლენუმის მიერ განხილული მეორე საკითხი და აღნიშნა, რომ პარტიის, მთავრობის, ამხანაგ სტალინის ყოველდღიური მზრუნველობა მშრომელთა ჯანმრთელობისა და კულტურული დასვენებისათვის ნათელ გამოხატულებას პოულობს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის ზრდით, მათი მშენებლობისა და შენახვისათვის გამოყოფილი სახსრების ყოველწლიურად გადიდებით. ომისშემდგომი ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში მარტო პროფკავშირული სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საჭიროებისათვის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან დახარჯულია 5,5 მილიარდი მანეთი. ამავე პერიოდში პროფკავშირთა 1.150 ჯანმრთელობის კერაში დაისვენა და იმკურნალა 6,6 მილიონმა მუშა-მოსამსახურემ. პროფორგანიზაციებს საქართველოში 18 სანატორიუმი და 9 დასასვენებელი სახლი აქვთ 4.200 საწოლით. მარტო წელს ამ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში დაისვენებს რესპუბლიკის 25 ათასი მუშა-მოსამსახურე. სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან რესპუბლიკის პროფკავშირთა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, პიონერთა ბანაკებისა და ტურისტთა ბაზების მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და კეთილმოწყობას მოხმარდება 15 მილიონი მანეთი.

სამეურნეო წლის პირველ ნახევარში პროფკავშირთა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების დათვალიერებამ ხელი შეუწყო მათი მუშაობის, ზაფხულის სეზონისათვის მომზადების თვალსაჩინო გაუმჯობესებას.

მიუხედავად ამისა, პლენუმმა სერიოზული ნაკლოვანებანი აღნიშნა პროფკავშირთა ჯანმრთელობის კერების მუშაობაში. ზოგიერთ სანატორიუმში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სამკურნალო მუშაობა, თავის დროზე არ ხდება ახლადმოსულ ავადმყოფთა კლინიკური შემოწმება, ვერ იცავენ სანატორიუმის რეჟიმს, სუსტად იყენებენ სამკურნალო ფიზკულტურას, საკმაო ყურადღება არ ექცევა სამკურნალო კვებას. ზოგიერთი სავაჭრო ორგანიზაცია, საკურორტო სამმართველოს, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ხელმძღვანელები საჭირო მზრუნველობას არ იჩენენ ჯანმრთელობის კერების დროულად მომარაგებისათვის პროდუქტებით, განსაკუთრებით რძის პროდუქტებითა და ბოსტნეულით. კულტურულ-მასობრივი მუშაობა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ჩამორჩება მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას. ჯანმრთელობის კერები ზაფხულობით გადატვირთულია, ხოლო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ცუდად არის გამოყენებული.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო მუშა-მოსამსახურეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხს. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, გასული წლის ბოლოსათვის წინა წელთან შედარებით საქართველოს პროფკავშირთა ფიზკულტურული ორგანიზაციების რაოდენობა ორნახევარჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. ფიზკულტურის კოლექტივების საერთო რაოდენობა 519-დან გადიდდა 1.359-მდე, ხოლო ფიზკულტურელთა რიცხვი 36.685-დან 84.490 კაცამდე. გაუმჯობესდა სასწავლო-სავარჯიშო მუშაობა. შარშან მომზადდა სამჯერ უფრო მეტი ნიშნოსანი, ვიდრე წინა წელს.

მიუხედავად ამისა, მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. ეს უნდა გაითვალისწინონ პროფკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა და ყველა ზომა მიიღონ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისა და ფიზკულტურელთა სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ელექტროსადგურების მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ქ. ჩაგუნავამ, ტრესტ ხრამჰესმშენის მმართველმა ამხ. ვ. ჭანკვეტაძემ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. ა. ხელიძემ, საქართველოს პროფკავშირების ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონმა ამხ. თ. სანებლიძემ, საქართველოს კურორტვაჭრობის მმართველმა ამხ. დ. გიორგობიანმა, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ლ. თხელიძემ, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. მაღრაძემ, საკავშირო პროფსაბჭოს კურორტებისა და დასასვენებელი სახლების საქართველოს სამმართველოს უფროსმა ამხ. ქ. კობახიძემ.

ამხ. ჩაგუნავა და ჭანკვეტაძე შეეხნენ ტრესტის მიერ საბინაო მშენებლობაში გაწეულ მუშაობას და აღუთქვეს აქტივს, რომ მთლიანად შეასრულებენ საბინაო მშენებლობის მიმდინარე წლის გეგმას. ამხ. ხელიძემ ილაპარაკა სამინისტროს მიერ მშრომელთა სამკურნალო მომსახურების გაუმჯობესებისათვის გაწეულ მუშაობაზე და იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ამ დარგში დასახულია ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წინაშე. ამხ. სანებლიძემ აქტივის ყურადღება გაამახვილა საწარმოებსა და დაწესებულებებში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გაძლიერებაზე. ამხ. თხელიძემ კრებას მოუთხრო ფაბრიკის დირექციისა და საფაბრიკო კომიტეტის მიერ გაწეულ მუშაობაზე მუშა-მოსამსახურეთა ბინებით დაკმაყოფილებისა და საცხოვრებელ ბინებში სისუფთავისა და წესრიგის დაცვისათვის. ამხ. გიორგობიანმა ილაპარაკა სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესებაზე. ამხ. მაღრაძე შეჩერდა რაიონის მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად რაიონში გაწეულ მუშაობაზე. ამხ. კობახიძემ აქტივის ყურადღება მიაპყრო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში სამკურნალო მომსახურებისა და კვების გაუმჯობესების, აგრეთვე ახალი სანატორიუმების მშენებლობის დაჩქარების საკითხს.

აქტივის კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი პლენუმის მიერ მიღებული დადგენილებებიდან გამომდინარე ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად.

კრებამ მქუხარე ტაშით, ერთსულოვანი ოვაციით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საბჭოთა ხალხისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გენიალურ ბელადს ამხანაგ სტალინს.

ნავთლუღის კვანძზე კვლავ აცდენენ ვაგონებს

წინა თვეებთან შედარებით ივლისსა და აგვისტოში ნავთლუღის კვანძის რკინიგზელებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა, დააჩქარეს მოძრავი შემადგენლობის მიმოქცევა და გაადიდეს დატვირთვა-გადმოტვირთვა. მუშაობის საუკეთესო მაგალითები მოგვცა მატარებლის შემდგენელთა იმ ბრიგადამ, რომელსაც ნიკოლოზ ბერიაშვილი ხელმძღვანელობს. მატარებლის შემდგენლებმა ა. გეჯიაშვილმა და ე. კვაჭაძემ 15 წუთით შეამცირეს მატარებლის შედგენისა და 10 წუთით — ვაგონთა დახარისხების დრო. დამხარისხებლებმა კ. სიხარულიძემ და გ. ჯოგიაშვილმა გარდა იმისა, რომ შეამცირეს ვაგონთა დახარისხების დრო, ამასთან 20 წუთით დააჩქარეს ვაგონების ჩიხებში ჩაყენება-გამოყვანა.

მაგრამ მიუხედავად მუშაობის საერთო გაუმჯობესებისა ნავთლუღელ რკინიგზელებს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ.

მაგალითად, ივლისში ვაგონების მიმოქცევის გეგმა კვანძის კოლექტივმა შეასრულა მხოლოდ 84,5 პროცენტით. ამის შედეგად შეუსრულებელი დარჩა დატვირთვა-გადმოტვირთვის გეგმაც და ამით ტრანსპორტმა მრავალი ათასი მანეთი ზარალი ნახა.

გარდატეხა არც აგვისტოში მოხდა. აგვისტოს ორ დეკადაში ვაგონების ზენორმატიულმა გაცდენამ 4.781 საათი შეადგინა.

მოძრავი შემადგენლობის გაცდენა გამოწვეულია კვანძის მთელი რიგი მუშაკების მოუქნელი მუშაობით. 18 აგვისტოს შემდგენელმა პ. ვაკულენკომ უმართებულოდ შეადგინა მატარებელი, რომელიც 68 ვაგონისაგან შედგებოდა. ეს უმართებულობა იქვე შენიშნეს სხვებმა, შეცდომა გაასწორეს, მაგრამ ამან შემადგენლობა 42 ვაგონ-საათით გააცდინა. 21 აგვისტოს მევაგონეთა მიზეზით 41-ვაგონიანი მატარებელი 35 წუთის დაგვიანებით გაუშვეს სადგურიდან. ასეთი ფაქტები ნავთლუღის კვანძზე ხშირია.

ამას ისიც ერთვის, რომ ზოგიერთი კლიენტი უპასუხისმგებლობას იჩენს მათი მისამართით მიღებული ვაგონების განტვირთვაში, რაც იწვევს მოძრავი შემადგენლობის გაცდენის ზრდას. თბილისის წისქვილკომბინატმა 16 აგვისტოს მიღებული 3 ვაგონი მხოლოდ 22 აგვისტოს განტვირთა. ამავე დღეებში სხვა კლიენტების მისამართით მიღებული ვაგონების განტვირთვაზე გაცდენამ 2.046 ვაგონ-საათი შეადგინა.

საჭიროა ნავთლუღელმა რკინიგზელებმა იმუშაონ გამართულად, შეუფერხებლად, ამასთან მიაღწიონ იმას, რომ ვაგონების მოცდენა არ მოხდეს არც კლიენტების მიზეზით.

შ. თევზაძე

გეგმების შესრულება

ჭიათურა. (საქ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა გამოასწორა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ჩამორჩენა და რვა თვის გეგმა მთლიანად შეასრულა.

საუკეთესოდ მუშაობენ სტალინის, ორჯონიკიძის, კაგანოვიჩისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროები.

დიდიჭყონი. (საქ. კორ.). ჩაის მეორე ფაბრიკის კოლექტივმა პირველი სექტემბრისათვის შეასრულა მზა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა. გამოშვებულია 292 ტონა ჩაი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 291 ტონისა. მაღალი ხარისხის ჩაის გამოშვების დავალება შესრულებულია 135 პროცენტით.

ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას 60 ტონა მზა ნაწარმი.

საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული

წალკა. (სპეც. კორ.). ნაყოფიერად იმუშავა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ყველისა და კარაქის მრეწველობის წალკის რაიონული სამმართველოს კოლექტივმა (დირექტორი ს. პერტაია), რომელმაც კვარტალურ საწარმოო დავალებათა შესრულებაში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებით გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მოიპოვა მესამე საკავშირო ადგილი.

ამ ჯილდოთი აღფრთოვანებული მთელი კოლექტივი ბეჯითად მუშაობს. სტოკჰოლმის მოწოდებაზე ხელმოწერისას აქ ვალდებულება იკისრეს 1950 წლის საწარმოო გეგმა 1 ოქტომბრისათვის შეესრულებინათ. სინამდვილეში კი კოლექტივმა 3 სექტემბრისათვის მთლიანად გაანაღდა წლიური საწარმოო გეგმა, ამასთან თვითღირებულება შეამცირა 12 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება გაადიდა 18 პროცენტით და ამით სახელმწიფოს ათასობით მანეთი მოგება მისცა.

ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში თავი ისახელა სოფელ ბეშთაშენის ყველისა და კარაქის მრეწველობის ქარხანამ (დირექტორი დ. მიხაილოვი, მეორე კლასის საკავშირო ოსტატი ა. მუზენიტოვი), რომელმაც ყველა სახის ყველის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულა ვადამდე 4 თვით ადრე.

წალკელებმა დამატებით იკისრეს სეზონში წლიური გეგმის გადამეტებით დაამზადონ ყველა სახის ყველი 250 ცენტნერის რაოდენობით.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის უძველესი კერა

რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო მედიცინის მუშაკთა კადრების ერთ-ერთი უძველესი სამჭედლო და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვანი კერაა. იგი 1820 წელს გაიხსნა კერძო სახლში, პრიმიტიულად მოწყობილი ქირურგიული და თერაპიული განყოფილებებით. 1868 წელს აშენდა ამჟამადაც არსებული მთავარი კორპუსი, რომელიც შემდეგში „მიხეილის საავადმყოფოდ" იყო ცნობილი.

აღნიშნულ საავადმყოფოს XIX საუკუნის დამლევიდან სათავეში ჩაუდგნენ ქართველი მეცნიერი კლინიცისტები, შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის შემქმნელნი პროფესორი სპირიდონ ვირსალაძე და აკადემიკოსი გრიგოლ მუხაძე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყოფილ „მიხეილის საავადმყოფოს" ეწოდა რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფო. ამ დროიდან გაფართოვდა მისი მუშაობა. საავადმყოფოს ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის, ხოლო შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკები. დღეისათვის საავადმყოფოში 12 სამკურნალო განყოფილებაა ჩამოყალიბებული.

აღსანიშნავია, რომ ამ საავადმყოფოდან წარმოიშვა მრავალი განშტოება სამედიცინო, სამკურნალო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა, რომელთაც უმთავრესად აქვე აღზრდილი მეცნიერები უდგანან სათავეში. საავადმყოფოს გამოეყო ფსიქიატრიის განყოფილება და ჩამოყალიბდა ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ა. ზურაბაშვილი. საავადმყოფოს პროზექტურიდან დამოუკიდებელ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა ნორმალური ანატომიისა და მორფოლოგიის ინსტიტუტი სამედიცინო ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებლის აკადემიკოს ა. ნათიშვილის ხელმძღვანელობით. ამავე პროზექტურის ბაზაზე დაარსდა პათოლოგიური ანატომიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ჟღენტის ხელმძღვანელობით.

საქართველოში ქირურგიის ფუძემდებელმა აკადემიკოსმა გ. მუხაძემ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა ჩვენს საავადმყოფოში, 1932 წელს აქ დააარსა სისხლის გადასხმის სადგური, რომელიც მისივე ხელმძღვანელობით დამოუკიდებელ სისხლის გადასხმის ინსტიტუტად გადაკეთდა, აგრეთვე ჰემატოლოგიისა და ექსპერიმენტული ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. ამავე საავადმყოფოს ბაზაზე ჩამოყალიბდა ორთოპედიის და ტრავმატოლოგიის ინსტიტუტი, ტროპიკულ დაავადებათა ინსტიტუტი, ონკოლოგიური საავადმყოფო და საბჭოთა კავშირში პირველი კარდიოლოგიური ინსტიტუტი, რომელსაც აკადემიკოსი მ. წინამძღვრიშვილი ხელმძღვანელობს.

ამ საავადმყოფოსთან 1878 წელს დაარსებულ საფერშლო სკოლაში (ამჟამად მეორე საფერშლო სკოლა) სწავლობდა დიდი სტალინის თანამებრძოლი სერგო ორჯონიკიძე.

ამჟამად საავადმყოფო 515 საწოლით მომსახურებას უწევს საქართველოს ყველა რაიონს. საავადმყოფოსთან არსებობს მიმღებ-განმანაწილებელი პუნქტი. ეს პუნქტი რაიონებიდან ჩამოსულ ავადმყოფებს დაავადების მიხედვით ანაწილებს და გზავნის სათანადო საავადმყოფოებში. გარდა ამისა, საავადმყოფო დიდ მუშაობას ეწევა სამედიცინო კადრების მომზადება-აღზრდისათვის. აქ მუშაობს 15 პროფესორი მედიცინის დოქტორის ხარისხით, 16 დოცენტი, 26 ასისტენტი და ასამდე ექიმი. დღემდე საავადმყოფოში შესრულებულია 1.125 სამეცნიერო შრომა, დაცულია 29 სადოქტორო და 53 საკანდიდატო დისერტაცია, გამოცემულია საავადმყოფოს შრომათა სამი კრებული.

საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა შორის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. დიდი ყურადღება ექცევა მის ზრდასა და კეთილმოწყობას. განხორციელდა მრავალი ახალი ღონისძიება: გაკეთდა კეთილმოწყობილი სანიტარული გამტარი, სადაც ხდება პირველად მიღებულ ავადმყოფთა სანიტარული დამუშავება; გაფართოვდა პოლიკლინიკა, სადაც ყველა განყოფილების კაბინეტები მოეწყო.

ცნობილი საბჭოთა მეცნიერების აკადემიკოს ფილატოვისა და ექიმ რუმიანცევის მიერ დამუშავებული მეთოდი — ორგანიზმის ქსოვილთა გადანერგვა ფართოდ არის გამოყენებული ჩვენს საავადმყოფოში.

რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში და მის განყოფილებებში ძირითადად ისწავლება და მეცნიერულად მუშავდება შემდეგი დაავადებანი: კუჭ-თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ჩიყვი, ტეტანუსი, ინფიცირებული ჭრილობები და ტროფიკული წყლულები. აღსანიშნავია აგრეთვე შინაგან სნეულებათა კლინიკების მიერ ფრიად საინტერესო საკითხების შესწავლა, სახელდობრ: ანტიბიოტიკების კლინიკური გამოცდა, ჩვენი რესპუბლიკის მინერალური წყლების სამკურნალო მოქმედების გამორკვევა, სისხლის მიმოქცევის სისტემის ცვლილებები ინფექციების დროს და სხვა. წელს გაიხსნა ბაქტერიოლოგიურ-სეროლოგიური ლაბორატორია. პავლოვის მოძღვრების მიხედვით ნერვულ კლინიკაში შემოღებულია ძილით თერაპია, რომელსაც ხელმძღვანელობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მ. საკაშვილი.

საავადმყოფოში მუშაობენ მთელ ჩვენს ქვეყანაში ცნობილი მეცნიერები აკადემიკოსები ნ. ყიფშიძე, მ. წინამძღვრიშვილი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწენი — პროფესორები კ. ერისთავი, ს. ყიფშიძე, ნ. ასპისოვი, ვ. ჟღენტი, ე. თოდაძე, პროფესორები ა. გზირიშვილი, ა. კვალიაშვილი, ი. ტატიშვილი, დ. მამამთავრიშვილი, ე. ფოფხაძე, მ. კომახიძე და სხვ.

30 აგვისტოს შესრულდა ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს 130 წლისთავი. ამ თარიღს საავადმყოფოს კოლექტივი მნიშვნელოვანი წარმატებით შეხვდა. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ არ ვივიწყებთ იმ ნაკლოვანებებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს მუშაობაში. ყველა ღონისძიებას განვახორციელებთ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მივაღწევთ იმას, რომ გავამართლოთ დიდი სტალინის მამობრივი მზრუნველობა მედიცინის მუშაკებისათვის.

გ. აბაშიძე

რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

ირღვევა ვაჭრობის წესები

ზუგდიდის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში (დირექტორი ა. ხარებავა) ვაჭრობის წესებს არღვევენ. რაიონის სავაჭრო ორგანოები და ბაზრის დირექცია საკმაოდ არ იბრძვიან სპეკულაციის წინააღმდეგ.

ქალაქის სავაჭროებში, განსაკუთრებით საკოლმეურნეო ბაზრის მაღაზიებში, მოძრავ წერტებსა და ფარდულებში ფასების დამახინჯების შემთხვევებია. ტილოს შარვალს მონადირეთა კავშირის სავაჭრო წერტში (გამყიდველი დ. ჩოხაშვილი) 10 მანეთით მეტს აფასებდნენ. ამ სავაჭროში საქონლის ფასებიც არ იყო აღნიშნული. საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის ზუგდიდის განყოფილების № 7 მაღაზიის მოძრავ წერტში წინდას თითქმის ორმაგ ფასად ჰყიდდნენ. № 7 მაღაზიაში (გამგე ნ. კუზურმანი) ტილოს 13 მანეთით და 60 კაპიკით მეტ ფასად ჰყიდდნენ.

სავაჭროებში ხშირად აღნიშნული არ არის საქონლის ფასები, ან თუ არის, არათვალსაჩინო ადგილას. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის მუშათა მომარაგების განყოფილების № 1 ფარდულის გამყიდველი შ. ელუაშვილი მეტრ შავ სატინს 2 მანეთით და 80 კაპიკით მეტად ჰყიდდა, ხოლო მეტრ ნარმაში 3 მანეთსა და 18 კაპიკს მეტს ახდევინებდა. ენგურის სატყეო მრეწველობის მუშათა მომარაგების განყოფილების სავაჭრო ფარდულის გამგემ შ. გელაშვილმა 3 მეტრ ძვირფას ქსოვილში ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის მცხოვრებ კოლმეურნე თამარ შულაიას 34 მანეთი და 50 კაპიკი მეტი გადაახდევინა.

გასაყიდ საქონელზე ფასები არ იყო აღნიშნული საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის ზუგდიდის განყოფილების № 4 ფარდულში, რომლის გამგე ბ. ჯიქია გამყიდველად თავის ძმას ამუშავებდა. ფასები დაკეცილი საქონლის შიგნით აღმოჩნდა ინგირის სოფლის კოოპერატივის სავაჭრო მოძრავ წერტში (გამყიდველი შ. ბოთერაშვილი), გარეუბნის სოფლის კოოპერატივის სავაჭრო წერტში და სხვ.

ენგურის სატყეო მრეწველობის მუშათა მომარაგების განყოფილების მაღაზიაში გამყიდველმა ი. კოხიამ ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთის მცხოვრებ სულიკო თოდუას 4 მეტრ ჩითში 8 მანეთი და 40 კაპიკი ზედმეტი გამოართვა. შემოწმებისას კოხიამ „შეცდომა" მოიმიზეზა და მყიდველს ზედმეტად აღებული ფული დაუბრუნა. ჩითის ხელმეორედ აზომვისას 12 სანტიმეტრი ნაკლები აღმოჩნდა. იმავე გამყიდველმა სოფელ კახათის მცხოვრებ მარო ნარმანიას 1 მეტრსა და 15 სანტიმეტრ ჩითში 12 მანეთი ზედმეტი გადაახდევინა.

ქალის რეზინისძირიანი საზაფხულო ტილოს ფეხსაცმელი ქალაქში ყველგან 14 მანეთით და 80 კაპიკით მეტად იყიდება.

საკოლმეურნეო ბაზრის სავაჭროებში ვაჭრობის წესების დარღვევა იმითაც არის გამოწვეული, რომ რაიკოოპკავშირი, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის ზუგდიდის განყოფილება, ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის და ენგურის სატყეო მრეწველობის მუშათა მომარაგების განყოფილებანი ნაკლებად იბრძვიან დამახინჯების წინააღმდეგ. რაიონულ პროკურატურაში აღძრულ საქმეს ზოგჯერ არასწორი მსვლელობა ეძლევა. მიმდინარე წლის 5 მარტს რაისაბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილებამ აღძრა საქმე ინგირის სოფლის მაღაზიაში ფასების დამახინჯების თაობაზე. მაგრამ გამომძიებელ ნ. ალშიბაიას „გამოძიების" შედეგად დამნაშავენი პასუხისგებაში არ მისცეს.

ზუგდიდის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარსა და სავაჭრო დაწესებულებებში წესრიგი უნდა დამყარდეს.

ვ. მესხია

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლები გამომჟღავნებული არიან

„კომუნისტის" რედაქციაში შემოსული იყო სოფლკორის წერილი, რომელიც ამხილებდა დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. მეგრელიშვილის, ბუხჰალტერ პ. ალბოროვის და საწყობის გამგე პ. პაპიაშვილის უკანონო მოქმედებას. წერილში აღნიშნული იყო, რომ ზემოხსენებული პირები ითვისებდნენ კოლმეურნეობის ქონებას და თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედების დაფარვის მიზნით განზრახ რევდნენ ანგარიშწარმოებას. 1949 წელს კოლმეურნეობის საწყობს არ ჰქონოდა შემოსავალ-გასავლის წიგნი, მარცვლეულის დიდი რაოდენობა საწყობში აუწონავად შეჰქონდათ. აწარმოებდნენ უკანონო ოპერაციებს. ინვენტარიზაციის შედეგად საწყობში აღმოჩნდა ზედმეტად 15 ტონა მარცვლეული.

სოფელ ბაზალეთში მცხოვრებ ე. პაპიაშვილისაგან 1949 წელს კოლმეურნეობამ შეიძინა ერთი სული ძროხა. ამ ძროხაში პაპიაშვილმა კოლმეურნეობის საწყობიდან გ. მეგრელიშვილის განკარგულებით მიიღო 450 კილოგრამი ხორბალი; გ. მეგრელიშვილმა და პ. ალბოროვმა დოკუმენტები გააფორმეს ისე, თითქოს პაპიაშვილმა ძროხაში 2.250 მანეთი მიიღო, აღნიშნული თანხა მიითვისეს, ხოლო ხორბლის გასავლის დოკუმენტები მოსპეს. იმავე სოფელში მცხოვრებ შ. ებიტაშვილს დაამზადებინეს ორი წყვილი ურმის თვლები, რაშიდაც გადიხადეს 60 კილოგრამი ქერი; ამავე დროს შეადგინეს ყალბი საბუთი, თითქოს შ. ებიტაშვილმა ურმის თვლებში კოლმეურნეობისგან 6.800 მანეთი მიიღო და ამ გზით ბოროტმოქმედებმა ეს თანხაც მიითვისეს. 1949 წელს კოლმეურნეობამ ააგო გარაჟი ავტომანქანისათვის. მის მშენებლობაზე ფული არ დახარჯულა. ბუხჰალტერმა პ. ალბოროვმა შეადგინა ფიქციური აქტი, თითქოს გარაჟის მშენებლობაზე 2.820 მანეთი დაიხარჯა და აღნიშნული თანხა მიითვისა.

შარშან შემოდგომაზე კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმის გამგეს ქ. თურქაძეს მის მიერ გამომუშავებული შრომადღეების ანგარიშში კოლმეურნეობიდან ერგებოდა 840 კილოგრამი სიმინდი. აღნიშნული სიმინდის მიღებაზე მას ხელი მოაწერინეს, ხოლო სინამდვილეში 680 კილოგრამი სიმინდი მისცეს; ასეთივე ხერხით კოლმეურნე პაპიაშვილს 112 კილოგრამი სიმინდი დააკლეს.

თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედების დაფარვის მიზნით კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ გ. მეგრელიშვილმა, ბუხჰალტერმა პ. ალბოროვმა და საწყობის გამგე პ. პაპიაშვილმა რევიზიის დაწყების მეორე დღესვე გადამალეს კოლმეურნეობის სალაროს წიგნი, ხოლო რევიზიის დამთავრებისას — კოლმეურნეობის ყველა საბუთი და რევიზიის მიერ შეკრებილი ზოგიერთი დოკუმენტი და სხვ.

ეს წერილი ადგილზე შეამოწმა საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომმა „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტის მონაწილეობით და, როგორც პარტიის რაიონული კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ბექაური გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ.

რაიონული კომიტეტის ბიუროს დადგენილებით რჩევა მიეცა სოფელ ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას გ. მეგრელიშვილი მოხსნას კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეობიდან.

რაიკომის ბიურომ დაავალა რაიონის პროკურორს მოკლე ვადაში გამოიძიოს სოფელ ბაზალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ჩადენილი ბოროტმოქმედებანი და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავე პირები.

მშვიდობის მომხრეთა სრულიად პოლონეთის პირველი ყრილობის რეზოლუცია

ვარშავა, 3 სექტემბერი. (საკდესი) მშვიდობის მომხრეთა სრულიად პოლონეთის პირველმა ყრილობამ საბოლოო სხდომაზე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

სტოკჰოლმის სამშვიდობო მოწოდებაზე 18 მილიონი პოლონელის ხელმოწერა მკაფიოდ მოწმობს, რომ მთელი პოლონელი ხალხი მშვიდობისათვის ბრძოლაში ერთიანდება ჩვენი სახალხო ხელისუფლების გარშემო და რომ ხალხის ერთიანობას მტრის ვერავითარი ხრიკი ვერ დაარღვევს. პოლონეთის ხალხის მასებში უფრო და უფრო ღრმად, ფართოდ და სრულად ინერგება იმის შეგნება, რომ არ კმარა გწყუროდეს მშვიდობა, რომ საჭიროა იბრძოლო მისთვის.

სახალხო პოლონეთის ხმა, რომელიც მძლავრად და მტკიცედ გაისმის ყველას დასაცავად, ვისაც იმპერიალიზმი ცდილობს თავს მოახვიოს მონობა და ომი, სოლიდარობის კავშირი, რომელიც უფრო და უფრო მჭიდროდ გვაერთიანებს მშვიდობისათვის მებრძოლ მსოფლიოს ყველა ხალხთან, მტკიცე კავშირი და ძმური თანამშრომლობა იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ ყველა ხალხთან და უწინარეს ყოვლისა დიდი საბჭოთა კავშირის—საყოველთაო მშვიდობის ბურჯის მეგობრობა, დახმარება და თანამშრომლობა — ყოველივე ეს მშვიდობის მსოფლიო ფრონტის დიდმნიშვნელოვან ელემენტად ხდის პოლონეთს.

ჩვენი დიდი მიღწევები და ჩინებული პერსპექტივები ექვსწლიანი გეგმისა, რომლის განხორციელება პოლონეთს მოწინავე ქვეყნების რიგში აყენებს, მრავალგზის გაამრავლებს ჩვენს ძალებს, ხოლო ამით განამტკიცებს მშვიდობის მთელი ბანაკის ძალებს.

მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბანაკის ძალების უდიდესი ზრდის გამო იმპერიალისტები სულ უფრო გააფთრებულ ავანტიურებს მიმართავენ, ცდილობენ რა დედამიწის ხან ერთ, ხან მეორე პუნქტში გააჩაღონ ახალი ომის ხანძარი. გმირი კორეელი ხალხი ძლევამოსილად ებრძვის ამერიკის იმპერიალიზმის შეიარაღებულ აგრესიას, თითო მტკაველობით ათავისუფლებს თავის ქვეყანას ოკუპანტებისაგან. იმპერიალისტები ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რომ ვერც სიკვდილის თანამედროვე იარაღი, ვერც დაქირავებული ჯარისკაცები ვერ დაამარცხებენ სიცოცხლის უფლებისათვის მებრძოლ ხალხს.

მაგრამ, შურს იძიებენ რა დამარცხებისათვის, იმპერიალისტი ოკუპანტები ჰიტლერული ტოტალური ომის მხეცური მეთოდების გამოყენებასაც არ ერიდებიან.

ისინი ბომბავენ კორეის ქალაქებსა და სოფლებს, ხოცავენ უიარაღო მოსახლეობას, ხოცავენ ქალებსა და ბავშვებს, ფერფლად აქცევენ მთელ სოფლებს, ანგრევენ ჰოსპიტლებს, სკოლებს, თეატრებს, მრავალსაუკუნოვანი დიდი კულტურის ძეგლებს. ისინი უხეშად არღვევენ საერთაშორისო უფლებებსა და შეთანხმებებს, ცინიკურად ნიღბავენ რა თავიანთ დანაშაულობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით.

მსოფლიო ბატონობის დღევანდელი პრეტენდენტები საცსებით ემსგავსებიან მათს ფაშისტ წინამორბედებს. გასაკვირველი არაფერია იმაში, რომ ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვების მხარდამჭერას უწინარეს ყოვლისა ფაშიზმის ნაბოლარებს შორის ეძებენ. ამიტომ ისინი ასე გაფაციცებით ცდილობენ გერმანიის ყოფილი ჰიტლერული არმიის აღდგენას. ამისათვის ისინი საპყრობილეებიდან უშვებენ ნიურნბერგის ტრიბუნალის მიერ მსჯავრდადებულ მთავარ სამხედრო დამნაშავეებს, ამისათვის იმათ განზრახული აქვთ დაეყრდნონ ჰიტლერელ გენერლებს, აგროვებენ რა ლანდსკნეხტებს მშვიდობის ბანაკის წინააღმდეგ. ჩინეთის კუნძულ ტაივანის (ფორმოზა) ოკუპაცია, ჩინეთის დასახლებული პუნქტების დანაშაულებრივი დაბომბვა ომის ხანძრის გაჩაღების ახალი პროვოკაციული ცდებია.

ამ ამბებთან დაკავშირებით მშვიდობის მომხრეთა სრულიად პოლონეთის პირველი ყრილობა მთელი პოლონელი ხალხის სახელით, რომელსაც სწყურია მშვიდობიანად აშენოს უკეთესი ცხოვრების საფუძვლები, უერთებს თავის ხმას მთელი მსოფლიოს ხალხთა მასების ხმას:

მოვითხოვთ აიკრძალოს ატომური იარაღი, მოისპოს მასობრივი მოსპობის ყოველგვარ საშუალებათა მარაგი;

მოვითხოვთ საყოველთაოდ შეიზღუდოს შეიარაღება და დაწესდეს მისდამი ეფექტიანი კონტროლი;

მოვითხოვთ აიკრძალოს და მოისპოს ყოველგვარი აგრესია და შეიარაღებული ინტერვენცია ხალხთა ურთიერთობაში; და, კერძოდ, შეწყდეს ამერიკის აგრესია კორეაში, გაყვანილ იქნას უცხოეთის ყველა ჯარი სხვისი ტერიტორიებიდან;

მოვითხოვთ შეწყდეს დასახლებული პუნქტებისა და სამოქალაქო მოსახლეობის ბარბაროსული დაბომბვა და მშვიდობისმოყვარე ხალხების კულტურულ ფასეულობათა მოსპობა;

მოვითხოვთ შეწყდეს ამერიკელი ოკუპანტების მიერ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია;

მოვითხოვთ ეფექტიანად აილაგმონ ჰიტლერელი სამხედრო დამნაშავენი, სამართლიანად დაისაჯონ ისინი კანონის მთელი სისასტიკის მიხედვით და მთლიანად განხორციელდეს პოტსდამის გადაწყვეტილებანი.

პოლონელი ხალხის ამ მოთხოვნებს, რომლებიც მსოფლიოს ყველა ხალხის დიდი უმრავლესობის სურვილს შეესაბამება, მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესზე გამოაქვეყნებენ ამ ყრილობაზე არჩეული ჩვენი წარმომადგენლები.

რეზოლუცია მოუწოდებს პოლონელ ხალხს უფრო მჭიდროდ დაირაზმოს მშვიდობის ბანაკში, ფხიზლად ადევნოს თვალყური მტრის ხრიკებს, ამრავლოს ღონისძიებანი შრომის ფრონტზე, განამტკიცოს და გააღრმაოს საბჭოთა კავშირის—მშვიდობის სიმჭიდლისა და ბურჯის—ხალხებთან ძმური კავშირი.

რეზოლუციის დასკვნით ნაწილში ნათქვამია:

„მრავლდება მთელ მსოფლიოში მშვიდობის არმიის რიგები. იზრდება სოციალიზმის მშენებელი ქვეყნების ეკონომიური პოტენციალი და თავდაცვითი ძლიერება. დასავლეთის ხალხის მასები სულ უფრო აქტიური, გადამწყვეტი ბრძოლით ცხადყოფენ მშვიდობისადმი მისწრაფებას. იზრდება დემოკრატიისა და მშვიდობის ძალები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ჩვენს მშვიდობიან რიგებში იბრძვიან მრავალმილიონიანი მასები ჩინელი ხალხისა, რომელმაც ამერიკელთა უღელი მოიშორა. ინტერვენტებს გმირულად ებრძვის თავისი თავისუფლებისა და მშვიდობის დასაცავად კორეელი ხალხი. იზრდება კოლონიური ხალხების წინააღმდეგობის ძალა. ყველა ესენი არიან ჩვენი ძმები და მოკავშირეები, ყველა ესენი არიან საერთო საქმისათვის მებრძოლები, ჯარისკაცები მშვიდობის მსოფლიო არმიისა, რომელსაც წინ უძღვის და ხელმძღვანელობს ძლევამოსილი სოციალიზმის ქვეყანა, მძლავრი ბასტიონი—საბჭოთა კავშირი და მშვიდობის დიდი მედროშე—იოსებ სტალინი.

ჩვენს მხარეზეა სიმართლე და სამართლიანობა. ჩვენს მხარეზეა ყოველივე, რაც ცოცხალი და პროგრესულია, რაც იზრდება და მტკიცდება, რასაც უკეთესი მომავლის გარანტია მოაქვს მსოფლიოს ხალხებისათვის.

გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.
მშვიდობა დაამარცხებს ომს".

მშვიდობის მომხრეთა მიტინგი ლონდონში

ლონდონი, 4 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ლონდონში ტრაფალგარ-სკვერში გაიმართა მშვიდობის მომხრეთა მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 4 ათასმა კაცმა. მიტინგი მოაწყო მშვიდობის დაცვის ლონდონის კომიტეტმა, რომელშიც წარმოდგენილია 190 პოლიტიკური, პროფკავშირული და რელიგიური ორგანიზაცია. მიტინგზე თავმჯდომარეობდა ლეიბორისტული პარტიის წევრი სინდი.

მიტინგზე გამოსული ორატორები მონაწილეთ მოუწოდებდნენ ხელი მოაწერონ მშვიდობის დაცვის ინგლისის კომიტეტის პეტიციას, რომელიც შედგენილია სტოკჰოლმის მოწოდების საფუძველზე, და იბრძოლონ ინგლისის განთავისუფლებისათვის ამერიკაზე დამოკიდებულებისაგან, ამერიკის ბაზად მისი გამოყენების წინააღმდეგ.

ილინგის (ლონდონის გარეუბანი) მშვიდობის დაცვის კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოთქვა სკოლის მასწავლებელმა ჯონ პერტონმა, ინგლისის არმიის ყოფილმა პოდპოლკოვნიკმა, რომელიც დაჯილდოებულია ორდენით „საბრძოლო წარჩინებისათვის", პერტონმა განაცხადა: „ინგლისს არა სურს იყოს ატომური ომის ბაზა. ამერიკელებმა წაიღონ თავიანთი ბომბდამშენები და შესაძლებლობა მოგვცენ მშვიდობით ვიცხოვროთ". პერტონი შეეხო კორეაში შექმნილ მდგომარეობას და თქვა: „კორეის ამბები ისეთია, რომ იქ საჭიროა არა დაბომბვა ამერიკელების მიერ, არამედ მოლაპარაკება. საჭიროა მოესმინონ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას და ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიეღებინონ ჩინეთს".

ანგლიკანური ეკლესიის მღვდელმა ბ. ტომასმა მკვეთრად დაგმო დაფ კუპერი, რომელიც ამას წინათ გაზეთ „დეილი მეილში" გამოვიდა ისტერიული მოწოდებით — ატომური ბომბები დაეყარით საბჭოთა კავშირს. ტომასმა პროტესტი გამოთქვა ამერიკის მთავრობის წინაშე ლეიბორისტი ლიდერების ლაქიობის წინააღმდეგ. მან მოუწოდა შექმნან უაღრესად ფართო ერთიანობა იმისათვის, რომ „ატომური ბომბის გამოყენების საზიზღარი გეგმა ვერასოდეს ვერ განხორციელდეს".

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე პაციფისტური ყოველკვირეული ჟურნალის „პის ნიუსის" რედაქტორის მოადგილე, ლეიბორისტი ჰიუ ბროკი, კონსერვატიული პარტიის წევრი ექიმი რ. ეუდეორდი, ლონდონელი დიასახლისი ი. ტეილორი, რომელსაც ქმარი ომში მოუკლეს.

მიტინგი დამთავრდა საზეიმო ვალდებულების წაკითხვით, სადაც ნათქვამია: „მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ ინგლისის მომავალი დამოკიდებულია საყოველთაო მშვიდობაზე. ამიტომ ვალდებულებას ვკისრულობ მთელი ძალღონით შევუწყო ხელი მშვიდობის საქმეს".

ბრაიტონში გაიხსნა ბრიტანეთის ტრედ-უნიონების კონგრესი

ბრაიტონი, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ბრაიტონში გაიხსნა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა 82-ე ყოველწლიური კონგრესი.

ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა ახლანდელი კონგრესის მიზანი უკვე განმარტა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის რეაქციულმა მემარჯვენე ზედაფენამ. მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ პროფკავშირებმა მოიწონონ სამხედრო გეგმები ლეიბორისტული მთავრობისა, რომელიც მხარს უჭერს შეერთებული შტატების იმპერიალისტურ პოლიტიკას. ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის ხელმძღვანელობა მოუწოდებს პროფკავშირულ მოძრაობას უსიტყვოდ მოიწონოს შეიარაღების არაჩვეულებრივად გადიდებული ხარჯები, მიუხედავად იმისა, რომ ეს უფრო მეტად დაამძიმებს ინგლისის მუშათა კლასის ტვირთს. ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის ხელმძღვანელობამ აგრძნობინა კონგრესის მონაწილეთ, რომ ის დელეგატები, რომლებიც აპირებენ კონგრესის მუშაობის მსვლელობაში მოუწოდონ საბჭოთა კავშირთან მეგობრობისაკენ და გამოვიდნენ ინგლის-ამერიკის სამხედრო მიზნების წინააღმდეგ, სასტიკად დაგმობილი იქნებიან.

საპატიმროდან გაათავისუფლეს ჰოვარდ ფასტი

პრაღა, 4 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ტელეპრესის სააგენტო ნიუ-იორკიდან იუწყება, ცნობილი ამერიკელი მწერალი ჰოვარდ ფასტი საპატიმროდან გაათავისუფლეს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორ ლიმენ ბრედლისთან ერთად. ორივემ მოიხადა სამი თვის პატიმრობა კონგრესისადმი „უპატივცემლობისათვის". მათი „დანაშაული" ის იყო, რომ უარი თქვეს წარედგინათ წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი ყბადაღებული კომისიისათვის ანტიფაშისტ ემიგრანტთა დახმარების გაერთიანებული კომიტეტის წევრთა სიები.

ინდონეზიაში გაფიცულია 700 ათასი სასოფლო-სამეურნეო მუშა

ჰააგა, 4 სექტემბერი. (საკდესი). ჯაკარტიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, ინდონეზიაში გრძელდება 700 ათასი სასოფლო-სამეურნეო მუშის გაფიცვა.

როგორც ანპის სააგენტო გადმოგვცემს, უკვე 14 დღეა, რაც სავსებით შეწყდა მუშაობა კაუჩუკის, ყავის, ჩაისა და თამბაქოს პლანტაციებში, აგრეთვე ქინაქინის ხის პლანტაციებში კუნძულებზე იავასა და სუმატრაზე, გარდა სუმატრის აღმოსავლეთ ნაწილისა.

საბჭოთა მოკრივეების გამარჯვება ფინეთში

ჰელსინკი, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჰელსინკში გაიმართა პირველი ამხანაგური მატჩი ფინეთის მოკრივეთა ნაკრებ გუნდსა და საბჭოთა მოკრივეებს შორის. მოსუპალის დარბაზი, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობდა, ხალხით იყო სავსე. დამსწრეთა შორის იყვნენ პრემიერ-მინისტრი კეკონენი, მთავრობის წევრები, სსრ კავშირის დესპანი ფინეთში გ. მ. სავონენკოვი, ფინეთის სასპორტო საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

საბჭოთა მოკრივეების გამოსვლამ კვლავ ცხადყო საბჭოთა კრივის მაღალი კლასი და დამთავრდა ანგარიშით 8:0 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ. საბჭოთა მოკრივეებმა სრულიად უპირატესობით დაამარცხეს თავიანთი მოწინააღმდეგენი.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 4 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 4 სექტემბერს დილით გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა:

სახალხო არმიის ნაწილებმა ყველა ფრონტზე გაარღვიეს თავდაცვა ამერიკელთა და ლისინმანელთა ჯარებისა, რომლებიც გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ, და განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს.

სამხრეთის მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა მოკლეს და დაჭრეს მტრის 500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია ბევრი ტყვე. გარდა ამისა, წამოღებულია 6 ტანკი, 10 ავტომანქანა, 11 მძიმე ტყვიამფრქვევი და სხვა დავლა.

სახალხო არმიის ნაწილები, რომლებიც შეტევას ავითარებენ მდინარე ნაკტონგანის (რაკუტოკო) აღმოსავლეთ ნაპირზე, სძლევენ მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას და კვლავ წინ მიიწევენ. ამ მიმართულებით წარმოებულ ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა მოკლეს და დაჭრეს ამერიკელთა 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და ტყვედ წამოიყვანეს 100-ზე მეტი კაცი. ხელთ იგდეს 15 სხვადასხვა ქვემეხი, 20-ზე მეტი ავტომანქანა, აგრეთვე ბევრი სხვა იარაღი და სამხედრო მასალა.

სახალხო არმიის ავიაცია ყველა ფრონტზე ბრძოლას უწევდა ამერიკელთა რიცხობრივად ჭარბი ავიაციის წინააღმდეგ და ურტყამდა მოწინააღმდეგის ზურგსა და კომუნიკაციებს.

1 სექტემბერს აღმოსავლეთ სანაპიროზე სახალხო არმიის ჯარებმა ჩამოაგდეს ამერიკელთა ერთი ბომბდამშენი და ამერიკელთა ერთი ავიაგამანადგურებელი.

ფხენიანი, 4 სექტემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 4 სექტემბერს საღამოს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილები განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლებს.

სახალხო არმიის ნაწილები, რომლებმაც ეგვანი (იკანი) გაათავისუფლეს, იგერიებენ მოწინააღმდეგის გააფთრებულ კონტრიერიშებს, დიდ ზარალს აყენებენ მას და განაგრძობენ შეტევას. ამ რაიონში წარმოებულ ბრძოლებში სახალხო არმიის ნაწილებმა მოკლეს და დაჭრეს მტრის 1.500 ჯარისკაცი და ოფიცერი და ტყვედ წამოიყვანეს 100 კაცი. წამოღებულია დიდძალი დავლა.

აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროზე სახალხო არმიის ნაწილები იგერიებენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს და კვლავ ავითარებენ შეტევას.

ინგლისის კორესპონდენტთა ცნობები კორეაში საომარი მოქმედების შესახებ

ლონდონი, 4 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, 4 სექტემბერს სახალხო არმიის ნაწილებმა განაახლეს თავიანთი შეტევა ფრონტის სამ უბანზე.

გუშინ საღამოს ხანმოკლე სიწყნარის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო კოკისპირული წვიმებით, ჩრდილოეთკორეელებმა დაიწყეს მძლავრი შეტევა სამხრეთ სანაპიროზე; გარდა ამისა, მათ წაიწიეს ტეგუს (ტაიკიუ) ჩრდილოეთ მისადგომებზე, აგრეთვე აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ამერიკელთა მე-2 დივიზიამ და საზღვაო ქვეითმა ჯარმა კონტრიერიში მიიტანეს ესანის (რეიზანი) რაიონში.

გუშინ სახალხო არმიის ნაწილებმა თითქმის ორი მილით წაიწიეს წინ ქალაქ ტაპუნდონის (ტაფუდო) ახლოს.

ლონდონი, 4 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, მაკარტურის შტაბმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ დღეს დილის 7 საათზე ადგილობრივი დროით ჩრდილოეთკორეელთა ჯარებმა დაიწყეს ძლიერი შეტევა ამერიკის 25-ე დივიზიის სამხრეთი ფლანგის წინააღმდეგ.

სამხრეთ კორეის მარიონეტული ეროვნული კრების 50 ყოფილი დეპუტატის განცხადება

ფხენიანი, 2 სექტემბერი. (საკდესი). სამხრეთ კორეის „ეროვნული კრების" 50 ყოფილმა დეპუტატმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ჩვენ, სამხრეთ კორეის მარიონეტული ეროვნული კრების ყოფილი 50 დეპუტატი, მთელ კორეელ ხალხთან ერთად აქტიურად ვუჭერთ მხარს ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის 14 აგვისტოს მიმართვას და ხელს ვაწერთ „კორეელი ხალხის განცხადებას".

იმ დროს, როცა „კორეელი ხალხის განცხადებაზე" ხელმოწერის შეგროვებისათვის მოძრაობა საყოველთაო-სახალხო გახდა, გამხეცებული ამერიკელი იმპერიალისტები ბარბაროსულად ესხმიან თავს ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს, ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, ანგრევენ კორეელი ხალხის ხელით აშენებულ ფაბრიკა-ქარხნებს, რკინიგზებს, საავადმყოფოებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საცხოვრებელ სახლებს. მხეცობა, რასაც დღეს ამერიკელი იმპერიალისტები სჩადიან, გამოხატავს მათს მისწრაფებას კოლონიური მონობის უღელი დაადგან კორეელ ხალხს, რომელიც აღდგა ამერიკის კოლონიური „თავისუფლების" წინააღმდეგ საბრძოლველად, და დათრგუნონ კორეელი ხალხის მძლავრი მისწრაფება სამშობლოს გაერთიანებისადმი. მაგრამ ეს ფუჭი ოცნებაა. თავისი სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული კორეელი ხალხი მხურვალედ იბრძვის უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ, იბრძვის სამშობლოს მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის.

ჩვენ, მარიონეტული ეროვნული კრების 50 ყოფილი დეპუტატი, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ვალდებულებას ვკისრულობთ მთელი ჩვენი ძალები მოვახმაროთ კორეელი ხალხის ბრძოლის საქმეს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ კორეიდან დაუყოვნებლივ გაიყვანონ მძარცველი ჯარები ამერიკელი დამპყრობლებისა და სამართალში მისცენ კორეელი ხალხის მოღალატენი —ლი სინ მანის ხროვა, ამერიკელი ინტერვენტების ყურმოჭრილი მორჩილი იარაღი. ჩვენ ერთხელ კიდევ მივმართავთ სამხრეთ კორეის ეროვნული კრების დეპუტატებს და მოვუწოდებთ ხელი აიღონ ამერიკელი იმპერიალისტებისა და ლი სინ მანის ხროვის მორჩილი იარაღის სამარცხვინო როლზე, გაილაშქრონ მათ წინააღმდეგ და გადმოვიდნენ სამშობლოსა და ხალხის მხარეზე. გამარჯვების მოპოვება მხოლოდ იმ ხალხს შეუძლია, რომელიც დარაზმულია მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის კიმ ირ სენის გარშემო. შორს არ არის ჩვენი სამშობლოს სრული გაერთიანების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დღე. შორს არ არის ამერიკელი იმპერიალისტების განადგურებისა და ლი სინ მანის გამცემლური ხროვის დაღუპვის დღე. გამარჯვების ურყევი რწმენით ვაწერთ ხელს „კორეელი ხალხის განცხადებას".

გაუმარჯოს ჩვენს თავისუფალ ერთიან და დამოუკიდებელ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენი ხალხის დიდ პატრიოტს, ჩვენი რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს კიმ ირ სენს!

განცხადებას ხელს აწერენ კიმ ენ მუ, ან ჯე ხონი, ჩო სო ანი, პაკ სუნ ჩონი, ვონ სე ხუნი და სხვები.

„ბომბები, რომლებსაც ამერიკელები სეულს აყრიან, შეიძლება თავს დაატყდეს დელის, ბომბეისა და კალკუტას"

ინდოელი ჟურნალისტის სტატია

დელი, 4 სექტემბერი. (საკდესი). საერთაშორისო საკითხთა ცნობილმა ინდოელმა მიმომხილველმა სანჯაიამ გაზეთ „ნეშნლ ჰერალდში" გამოაქვეყნა სტატია კორეის ამბების შესახებ. „ამერიკელები,—წერს სანჯაია,—თავიანთ ომს კორეაში „განმათავისუფლებელს" უწოდებენ, მაგრამ ის, რაც კორეაში ხდება, სხვა არა არის რა, თუ არ კორეის დანგრევა. ამერიკელები უკვე მეტ ბომბს ყრიან კორეაში, ვიდრე გერმანელები ინგლისში ყრიდნენ ჰიტლერის ბრძანებით... ეს ბომბები უმთავრესად ანგრევენ სამხრეთ კორეას, რომელსაც ამერიკელები „ათავისუფლებენ". ათასობით კორეელი ქალი და ბავშვი დაიხოცა ამერიკელთა ბომბებით... ბომბები, რომლებსაც ამერიკელები სეულს და სამხრეთ კორეის სხვა ქალაქებს აყრიან, შეიძლება თავს დაატყდეს დელის, ბომბეისა და კალკუტას.

ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოისურვებს ამერიკა ჩაერიოს უცხო სახელმწიფოში კომუნისტური და არაკომუნისტური ძალების სამოქალაქო ომში... კორეაში ამერიკის ინტერვენციის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ შეინარჩუნონ თავიანთი სამხედრო პლაცდარმი აზიის კონტინენტის შორეულ აღმოსავლეთის სანაპიროზე".

შემდეგ სანჯაია აცხადებს, რომ ინდოეთს დიდი მორალური პასუხისმგებლობა ეკისრება იმისათვის, რაც კორეაში ხდება, რადგან ინდოეთმა ხმა მისცა უშიშროების საბჭოს რეზოლუციას კორეის შესახებ.

მხარს უჭერენ რა დღეს ამერიკის ინტერვენციას კორეაში, წერს დასასრულ სანჯაია, ინდოეთი და აზიის სხვა ქვეყნები ზვილისათვის საფრთხეს უქმნიან თავიანთ თავს.

მშვიდობის მომხრეთა სრულიად პოლონეთის პირველი ყრილობის მოწოდება საზღვარგარეთ მყოფი პოლონელებისადმი

ვარშავა, 4 სექტემბერი. (საკდესი). პოლონეთის ბეჭდვითი სიტყვის სააგენტო გადმოგვცემს, რომ მშვიდობის მომხრეთა სრულიად პოლონეთის პირველმა ყრილობამ მოწოდებით მიმართა საზღვარგარეთ მყოფ პოლონელებს.

„მშვიდობის მომხრეთა სრულიად პოლონეთის პირველი ყრილობა, — ნათქვამია მოწოდებაში, —მოგმართავთ თქვენ, პოლონელებო, რომელნიც უმუშევრობამ და კაპიტალისტურმა ექსპლოატაციამ გაიძულათ ოდესღაც პური გეძებნათ უცხოეთში, რომ მთელ პოლონელ ხალხთან ერთად ჩაებათ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ძლევამოსილ ბრძოლაში.

ჩვენ, აქ შეკრებილი 1.300 დელეგატი, არჩეული ვართ პოლონეთის ყოველ კუთხეში. ჩვენ ვართ ჩვენი საზოგადოების ყველა ფენის—მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ჩვენ ვართ ყველა რწმენისა და პროფესიის ადამიანების წარმომადგენლები. ჩვენს შორის არიან შრომის მოწინავეები, მეცნიერები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, კათოლიკე მღვდლები, ჩვენს შორისაა ჩვენი ხალხის იმედი—პოლონელი ახალგაზრდობა. ჩვენ გამოვხატავთ მთელი პოლონელი ხალხის მტკიცე მისწრაფებას მშვიდობისადმი. ეს მისწრაფება ჩვენ ცხადვყავით სტოკჰოლმის მოწოდებაზე 18 მილიონი ხელმოწერით".

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ პოლონეთის მშრომელებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად სურთ მშვიდობა და ყოველივე შესაძლებელს აკეთებენ, რათა განამტკიცონ მშვიდობის ძალთა ფრონტი.

„ცილისმწამებლური პროპაგანდის საწინააღმდეგოდ, რომლის საშუალებითაც ცდილობენ სამშობლოს მოგწყვიტონ, — აღნიშნულია მოწოდებაში, — სახალხო პოლონეთი იზრდება და მტკიცდება. აღდგენის პროცესშია ვარშავა. იგი უფრო ლამაზი იქნება, ვიდრე იყო. წარსულს ბარდება სიბნელე და ჩამორჩენილობა. სოციალური უზრუნველყოფის ფართო სისტემა უზრუნველყოფს ყოველი ადამიანისათვის ჯანმრთელობის დაცვას და ასეულ ათასობით ადამიანისათვის—დასვენებას. დღითიდღე მტკიცდება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, დიდდება წარმოება, რომელმაც უკვე სერიოზულად გადააჭარბა ომამდელ დონეს. სახალხო მეურნეობის ექვსწლიანი გეგმის განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის ძლიერებისა და კეთილდღეობის ზრდას. სახალხო პოლონეთი ამ განვითარებასა და აღდგენის ტემპს უნდა უმადლოდეს სოციალიზმის სამშობლოს—მძლავრი სსრ კავშირის მეგობრულ დახმარებასა და კავშირს, და ამ კავშირზე დაყრდნობით პოლონეთი აშენებს თავის მომავალს. პოლონელი ხალხი მოითხოვს უფლებას—მშვიდობიანად, შემოქმედებით იშრომოს, რათა უზრუნველყოს საუკეთესო მომავალი. პოლონელი ხალხი განამტკიცებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან მეგობრულ თანამშრომლობას. პოლონელი ხალხი მოითხოვს მშვიდობას მთელ მსოფლიოში და იბრძვის მშვიდობისათვის.

უცხოეთში მყოფო ძმებო! სამშობლო მოგიწოდებთ ყველას, სადაც უნდა იყოთ, ცხადყოთ თქვენი სოლიდარობა სამშობლოსთან მშვიდობისათვის ბრძოლაში!"

ყრილობამ მოუწოდა საზღვარგარეთ მცხოვრებ პოლონელებს გამოვიდნენ კორეაში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ, მოითხოვონ კორეის სოფლებისა და ქალაქების ბარბაროსული დაბომბვის შეწყვეტა და კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანა. მოწოდება მიმართავს საზღვარგარეთ მცხოვრებ პოლონელებს გადამწყვეტი პროტესტი განაცხადონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციისა და დასავლეთ ზონებში ამერიკელ-ინგლისელ იმპერიალისტთა მიერ ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მზადდება კომუნისტთა საწინააღმდეგო ახალი დრაკონული კანონპროექტი

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, სენატორმა კილგორმა გამოაცხადა, რომ ამჟამად იგი ამზადებს კანონპროექტს, რომელმაც, მისი აზრით, უნდა შეცვალოს მაკარენის ანტიკომუნისტური კანონპროექტი. კილგორმა აღნიშნა, რომ მაკარენის კანონპროექტით გათვალისწინებული დებულება კომუნისტების რეგისტრაციის შესახებ „გარანტიას არ წარმოადგენს". კანონპროექტი, რომლის შეტანასაც კილგორი აპირებს, რწმუნებას იძლევა—დააპატიმრონ და საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსონ ყველა კომუნისტი, როგორც კი პრეზიდენტი და კონგრესი გამოაცხადებენ, რომ „ეროვნული უშიშროება საფრთხეშია".

კვლევა-ძიების ფედერალური ბიუროს საქმიანობის გაფართოება

ნიუ-იორკი, 2 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ ტრუმენმა სთხოვა კონგრესს იუსტიციის სამინისტროსათვის დაამტკიცოს 6 მილიონი დოლარი კვლევა-ძიების ფედერალური ბიუროს საქმიანობის გასაფართოებლად, რაც, ტრუმენის სიტყვით, „საჭირო გახდა შეცვლილი საერთაშორისო მდგომარეობის შედეგად"".

ნატალია ჯავახიშვილი

2 სექტემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნატალია გრიგოლის ასული ჯავახიშვილი.

ნატალია ჯავახიშვილი პირველად 1901 წელს გამოვიდა სცენაზე ავქსენტი ცაგარელის პიესა „ციმბირელში". წარმოდგენას პიესის ავტორიც დაესწრო. ახალგაზრდა ქალის თამაში დრამატურგს ძლიერ მოეწონა. გათავდა სპექტაკლი თუ არა, იგი სცენაზე ავიდა. ნ. ჯავახიშვილს გამარჯვება მიულოცა, მადლობა გადაუხადა და ურჩია სცენისათვის თავი არ დაენებებინა.

1902-1903 წლის სეზონში ნ. ჯავახიშვილი ჩაირიცხა თბილისის ქართული თეატრის დასში. აქედან დაწყებული ნ. ჯავახიშვილი სცენას არ მოსცილებია და მთელი თავისი ნიჭით და უნარით დაუღალავად იბრძოდა ქართული სასცენო ხელოვნების განვითარებისათვის.

1903-დან 1905 წლამდე ნატალია ჯავახიშვილი ლადო მესხიშვილთან მუშაობდა ქუთაისის თეატრში. შემდეგ კვლავ თბილისის თეატრში მიიწვიეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნ. ჯავახიშვილი განუწყვეტლივ მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეატრში.

ნ. ჯავახიშვილი ფართო დიაპაზონის აქტიორი იყო. იგი თანაბარი ოსტატობით ასრულებდა როგორც დრამატულ, ისე კომიკურ როლებს. მის მიერ განსახიერებული სახეები მუდამ მრავალფეროვანი და მიმზიდველი იყო.

ნატალია ჯავახიშვილი აღიზარდა ნატო გაბუნია-ცაგარელის, ვასო აბაშიძის და ქართული თეატრის სხვა დიდ მსახიობთა რეალისტურ ტრადიციებზე. იგი კანონიერად ითვლებოდა ამ ტრადიციების ერთ-ერთ გამგრძობად.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ნ. ჯავახიშვილის მოღვაწეობა. 1941 წელს მას მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება. ამავე წელს ნატალია ჯავახიშვილი დაჯილდოებულ იქნა „საპატიო ნიშნის" ორდენით, ხოლო 1946 წელს მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

ამხანაგების ჯგუფი

ფეხბურთი

გუშინ, 5 სექტემბერს, ბერიას სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის გუნდები „დინამო" და „სპარტაკი".

საკავშირო კატეგორიის მსაჯის ნ. ჩხატარაშვილის (თბილისი) სასტვენის ხმაზე გუნდები მოედანზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: „დინამო" — მარღანია, რუსაძე, ძიაპშიპა, სარჯველაძე, პანიუკოვი, ანთაძე, ჯოჯუა, მახარაძე, ბ. პაიჭაძე (მეორე ტაიმში შეცვალა ჯავახაძემ), ლოღობერიძე, ქუასელი; „სპარტაკი" — ემელკოვი, გუგუნავა, შუდრა, ხურციძე, კილაძე, ნ. გაგნიძე, ბერძენიშვილი, კ. გაგნიძე, ბერეჟნოი, გამყრელიძე, ლომაია.

მოედანზე თავიდანვე გაჩაღდა ცხარე ბრძოლა. პირველი იერიში მიიტანეს დინამოელებმა „სპარტაკის" კარზე. პანიუკოვმა მოულოდნელად გაუშვა ბურთი მარჯვენა ფრთაზე ჯოჯუას. ამ უკანასკნელმა გადამწყვეტ მომენტში ბურთი „სპარტაკის" კართან ჩააწოდა, მაგრამ სპარტაკელებმა იერიში მოიგერიეს. სპარტაკელებმა საპასუხოდ ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს (ბერეჟნოი—გამყრელიძე—კ. გაგნიძე). მაგრამ არც ამას მოჰყოლია შედეგი. ეს მოხდა სულ წუთი-წუთნახევრის განმავლობაში. თამაშის ტემპი მატულობს. ხან ერთ, ხან მეორე კართან იქმნება სახიფათო მომენტები, მაგრამ [illegible]

[illegible]

ა. გოგოლაშვილი

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ნანიტაშვილი**

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

7 სექტემბრისათვის

7.25 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის: წარმატებით შევასრულოთ მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის მეორე წლის დავალება. 9.15 — კამერული მუსიკის კონცერტი. 17.20 — ბლანტერის და ლეპინის სიმღერები და მარშები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ა. ჩეხოვი „ბავშვები" (რადიო-[illegible]) 18.20 — [illegible] 19.00 — [illegible] 19.15 — [illegible] 20.00 — [illegible]

თეატრები

6 სექტემბერს: [illegible]

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი

1950-51 წლის სეზონისათვის უშვებს

აბონემენტებს შეღავათიან ფასებში

საბონემენტო სპექტაკლებში შედის ახალი დადგმები (პრემიერები) და საუკეთესო სპექტაკლები. დაწვრილებითი ცნობები რწმუნებულებისაგან და ტელეფონით №№ 3-03-45, 3 60-64, 3-03-47.

შვილები ვარლამ, ტერეზა, შვილიშვილები ნინა, იური, ნაზიკო, ზამირა, რარა ქარქაშაძეები, დავით, შოთა, გიგლა ღლონტები, [illegible]

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, [illegible] და ყოფა-ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, [illegible]

[illegible] „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.